ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction

ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული ხარისხის სტანდარტები: მოკლე გზამკვლევი

მოამზადეს

ანგელინა ბროთერჰუდმა და ჰარი რ. სამნალმა
Angelina Brotherhood and Harry R. Sumnall
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ლივერპული, ჯონ მურსის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო

2013 წ. ივლისი

EMCDDA4GE

European drug prevention quality standards

სარჩევი

წინასიტყვაობა EMCDDA-საგან 3

შესავალი 4

ხარისხის სტანდარტების შესახებ 4

პროექტის ციკლი – დეტალიზაციის სამი დონე 5

ხარისხის სტანდარტების სახელმძღვანელოს გამოყენება 7

მოკლე გზამკვლევისა და საკონტროლო სიების გამოყენება 8

სტანდარტები და საკონტროლო სიები 11

გამჭოლი საკითხები 11

პროექტის ეტაპი 1: საჭიროებათა შეფასება 14

პროექტის ეტაპი 2: რესურსების შეფასება 17

პროექტის ეტაპი 3: პროგრამის ჩამოყალიბება 19

პროექტის ეტაპი 4: ჩარევის სქემა 22

პროექტის ეტაპი 5: რესურსების მობილიზება და მართვა 25

პროექტის ეტაპი 6: მიწოდება და მონიტორინგი 29

პროექტის ეტაპი 7: საბოლოო შეფასებები 32

პროექტის ეტაპი 8: გავრცელება და გაუმჯობესება 34

თვითრეფლექსია: მოქმედების გეგმა 36

დამატებითი საკითხავი 37

წინასიტყვაობა EMCDDA-საგან

ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული ხარისხის სტანდარტების ეს ვერსია „მოკლე გზამკვლევის“ სახით მოამზადეს ანგელინა ბროთერჰუდმა და ჰარი რ. სამნალმა, ხოლო დააფინანსა ის ევროკავშირმა. ის არის ნაწილი პროექტისა „IPA-ს ბენეფიციართა მომზადება ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრის (EMCDDA) მონაწილეებად გასახდომად“; პროექტის ნომერია 2011/280–057, დაფინანსებულია ევროკომისიის გაწევრიანებამდელი დახმარების ინსტრუმენტის (IPA) მიერ. ეყრდნობა EMCDDA-ს მიერ 2011 წელს ამ თემაზე გამოცემულ სახელმძღვანელოს.
მოცემული გზამკვლევი მიზნად ისახავს, პრევენციის ხარისხის სტანდარტების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს ევროკავშირის გარეთაც. მასში შედის ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ციკლში არსებული რვა ეტაპის აღწერა, ასევე, თვითრეფლექსიის საკონტროლო სია, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყოს პრევენციული საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას. ის შემუშავდა პრაქტიკოსებისა და ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის.
სიამოვნებით გამოვიყენებთ შესაძლებლობას, მადლობა გადავუხადოთ ანგელინა ბროთერჰუდსა და ჰარი რ. სამნალს ამ გამოცემაში ჩადებული წვლილისთვის.

ქართული თარგმანი შესრულებულია EMCDDA4GE პროექტის ფარგლებში (ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ENI/2021/423-588). EMCDDA4GE ორმხრივი პროექტი (2021-2023) ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად და მიზნად ისახავს ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური ბაზრის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებზე ეროვნული რეაგირების მექანიზმების ეტაპობრივ გაძლიერებას.

შესავალი

ხარისხის სტანდარტების შესახებ

ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული ხარისხის სტანდარტები, რომელიც სახელმძღვანელო No 7-ის სახით შექმნა ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მიერ ([1]), ნარკოტიკების მოხმარების ხარისხიანი პრევენციის პირველ ევროპულ ჩარჩოს გვთავაზობს. სტანდარტებში ყურადღება გამახვილებულია პრევენციული საქმიანობის ხარისხის შემდეგ ასპექტებზე:

- საქმიანობის შესაბამისობა სამიზნე პოპულაციასთან და სამთავრობო (სამთავრობათაშორისო) პოლიტიკასთან;
- მიღებული ეთიკური პრინციპების დაცვა;
- მეცნიერული მტკიცებულებების საფუძვლის ინტეგრაცია და ხელშეწყობა, ასევე
- შინაგანი შეთანხმებულობის, პროექტის განხორციელებადობისა და მდგრადობის გაძლიერება.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სტანდარტები შემუშავდა ორწლიანი პროექტის განმავლობაში, რომელიც ევროკავშირის თანადაფინანსებით განხორციელდა პროგრამის „თემის აქტივობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში“ (2003–08) ფარგლებში (პროექტის No 2007304). პროექტი განახორციელა პრევენციის სტანდარტების პარტნიორობამ – ესაა შვიდი ორგანიზაციის მულტიდისციპლინური და მრავალნაწილიანი თანამშრომლობა ევროპის მასშტაბით, მას უძღვება ლივერპულის ჯონ მურსის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. ([2]). EMCDDA ხელს უწყობდა პარტნიორობას განვითარების მთელი პროცესის განმავლობაში, მან დააფინანსა სტანდარტების გამოცემა სახელმძღვანელოს სახით, ისევე, როგორც ამ მოკლე გზამკვლევის დამზადება.

ამ პროექტზე მუშაობის დაწყებისას ნარკოტიკების ეფექტიანი პრევენციის დაგეგმვისა და მიწოდების სახელმძღვანელოები ევროკავშირის წევრ სულ რამდენიმე სახელმწიფოში იყო ხელმისაწვდომი. არსებული სახელმძღვანელოები განსხვავდებოდა ხარისხის, შინაარსისა და გამოყენებადობის თვალსაზრისით და არ არსებობდა ნარკოტიკების პრევენციის ხარისხის საერთო ევროპული ჩარჩო. ამდენად, ნარკოტიკების პრევენციის ხარისხი ხშირად მომსახურების ცალკეული მიმწოდებლებისა და ადგილობრივ ხელისუფლების შეხედულებებზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც, ამ პროექტის მიზნად ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება დაისახა, რასაც პრევენციის საქმიანობისთვის საერთო რეკომენდაციული ჩარჩოს შექმნა უზრუნველყოფდა.

სტანდარტების შესამუშავებლად შეიკრიბა და მიმოიხილა ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის არსებული ევროპული და საერთაშორისო სახელმძღვანელოები. ამ ეტაპზე ერთმანეთისგან განსხვავდა ჩარევის შინაარსზე („რა?“) ფოკუსირებული და პრევენციული საქმიანობის ფორმალურ ასპექტებზე („როგორ?“) ფოკუსირებული სახელმძღვანელოები. პარტნიორობამ არჩია, ყურადღება გაემახვილებინა, თუ „როგორ“ უნდა გაკეთდეს პრევენცია ([3]). პირველი მონახაზი შედგა შინაარსის ხარისხობრივი ანალიზის შედეგად სინთეზირებული ხარისხის სტანდარტების ცხრამეტი კრებულით, რომელიც კონკრეტული კრიტერიუმების შესაბამისად შეირჩა. მომდევნო ეტაპზე ევროკავშირის ექვს ქვეყანაში ონლაინ გამოკითხვებისა და ფოკუსჯგუფებთან მუშაობის მეშვეობით შეფასდა ამ სტანდარტების სამუშო ვარიანტის რელევანტურობა, გამოსადეგობა და განხორციელებადობა. სტანდარტების სამუშო ვარიანტის შინაარსზე უკუკავშირი მოგვაწოდა სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის 400-ზე მეტმა წარმომადგენელმა, მათ გამოკვეთეს განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორებიც. ამ კონსულტაციებზე დაყრდნობით პარტნიორობამ დახვეწა სტანდარტები და დასრულებული სახე მისცა, აგრეთვე, შექმნა თვითრეფლექსიის საკონტროლო სია, რომელიც ამავე მოკლე გზამკვლევშია შესული. სტანდარტების შემუშავების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ EMCDDA-ს სახელმძღვანელოში.

პროექტის დასრულების შემდგომ ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული ხარისხის სტანდარტები მიღებული იქნა, როგორც პრევენციის პარაგრაფი კვლევაში, რომელიც ეხებოდა ხარისხის მინიმალური სტანდარტებისა და ამოსავალი ორიენტირების ევროკავშირის ჩარჩოს შემუშავებას ნარკოტიკების მოთხოვნის შემცირების საქმიანობაში (EQUS) ([4]).

(1) Brotherhood, A., Sumnall H., R. and the Prevention Standards Partnership (2011), European drug prevention quality standards: a manual for prevention professionals, EMCDDA Manuals No 7, Luxembourg. Publications Office of the European Union.

(2) პარტნიორი ორგანიზაციები იყვნენ: ASL di Milano (Italy), Consejeria de Sanidad – Servicio Gallego de Salud (Xunta de Galicia) (CS–SERGAS) (Spain), Azienda Sanitaria Locale n. 2 – Savonese (ASL2) (Italy), Institute for Social Policy and Labour – National Institute for Drug Prevention (SZMI-NDI) (Hungary), National Anti-Drug Agency (NAA) (Romania), and National Bureau for Drug Prevention (NBDP) (Poland). თითოეული მონაწილის სახელები იხილეთ სახელმძღვანელოში.

(3) სტანდარტები, რომელიც ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ „რა“ უნდა გაკეთდეს პრევენციაში, გამოაქვეყნა გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC), იხ. the International Standards on Drug Use Prevention სტანდარტების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:: http://www.unodc.org/unodc/en/prevention/prevention-standards.html

(4) EQUS პროექტს უძღვებოდა ციურიხის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ადიქციის ინსტიტუტი, და ასევე თანადაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ. დამატებით ინფორმაციას იპოვით აქ: http://www.isgf.ch/index.php?id=59&uid=41

ადგილობრივ ვითარებასთან მორგებადი, შეთანხმებული ჩარჩოს არსებობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და სხვა ქვეყნებისთვის უნდა იქცეს სტიმულად, შეიმუშაონ ხარისხის სტანდარტები იქაც, სადაც ისინი აქამდე არ არსებობდა (ან გადახედონ და განაახლონ არსებული ხარისხის სტანდარტები) და ეს სტანდარტები საკუთარი გამოყენებისთვის მიიღონ. სტანდარტების მიღება გააუმჯობესებს ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის პრაქტიკასა და მისი ჩატარების ეფექტურობასა და ეფექტიანობას, ასევე, შეამცირებს უშედეგო ან იატროგენური (ანუ უარყოფითი) შედეგის მქონე ჩარევების განხორციელების ალბათობას. ამგვარად, ხარისხის სტანდარტები დაეხმარება პრევენციის პროფესიონალებს საუკეთესო პრაქტიკის შემუშავებასა და ხელის შეწყობაში, და მისცემს მათ შესაძლებლობას, გამოაჩინონ საკუთარი წარმატებები ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ნარკოსტრატეგიებისა და პოლიტიკის კონკრეტული მიზნების მიღწევის საქმეში.

> სახელმძღვანელო, რომელშიც შეტანილია ყველა სტანდარტი, უფასოდ არის ხელმისაწვდომი შემდეგ ბმულზე:
> http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards

პროექტის ციკლი – დეტალიზაციის სამი დონე[1]

სურათი 1: ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის პროექტის ციკლი



წყარო: EMCDDA, 2013a

პროექტის ციკლში ეს სტანდარტები ქრონოლოგიურად არის დალაგებული. არსებული სტანდარტების მიმოხილვასა და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის სპეციალისტთა კონსულტაციებზე დაყრდნობით, ეს ციკლი ხარისხის სტანდარტების სტრუქტურირების საუკეთესო საშუალებად გვევლინება.

პროექტის ციკლი შედგება რვა ეტაპისგან. ესენია: საჭიროებების შეფასება, რესურსების შეფასება,

[1] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სტანდარტების სრული დოკუმენტი: https://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards_en

პროგრამის ჩამოყალიბება, ჩარევის გეგმა, რესურსების მართვა და მობილიზება, ჩატარება და მონიტორინგი, საბოლოო შეფასებები, გავრცელება და გაუმჯობესება. ამას გარდა, პროექტის ცენტრში მოთავსებული გამჭოლი საკითხები გამოკვეთს იმ ასპექტებს, რომლებიც აქტუალურია პროექტის თითოეული ეტაპისთვის, კერძოდ: მდგრადობა და დაფინანსება, კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, პერსონალის განვითარება და ეთიკური პრევენცია (იხ. სურ. 1).

მოცემული ციკლი გთავაზობთ ნიმუშს, რომელზე დაყრდნობაც შეუძლიათ პროფესიონალებს პრევენციული საქმიანობების დაგეგმვისა და განხორციელებისას, თუმცა, ეს აგრეთვე არის ნარკოტიკების პრევენციაზე მუშაობის გამარტივებული მოდელი, რომელიც პროფესიონალებმა საგულდაგულოდ უნდა მოარგონ მათი საქმიანობის კონკრეტულ ვითარებას. მაგალითად, თუ უკვე განხორციელების ფაზაზე მუშაობენ, მაშინ პროექტის გვიანდელი ეტაპები უფრო აქტუალური იქნება, ვიდრე საწყისი ეტაპები, რომლებიც პროექტის დაგეგმვას ეხება.

პროექტის ყოველი ეტაპი დაყოფილია რამდენიმე კომპონენტად, რომლებიც მოხაზავს, რა მოქმედებები უნდა შესრულდეს. მთლიანობაში გვაქვს 31 კომპონენტი პროექტის ყველა ეტაპში ერთად და 4 კომპონენტი – გამჭოლ საკითხებში (იხ. ცხრილი 1). ჩვენს სახელმძღვანელოში ყველა კომპონენტს ახლავს შესავალი ტექსტი, რომელიც განმარტავს, თუ რატომ შევიდა მოცემული კომპონენტი სტანდარტებში და რას უნდა მიექცეს ყურადღება განხორციელებისას. კომპონენტების ნუმერაცია აუცილებლად არ ასახავს პრიორიტეტულობას ან ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას.

დამახასიათებელი ნიშნები სტანდარტების მესამე დონეს შეადგენს და ყოველ კომპონენტს უფრო დეტალურად განსაზღვრავს. ამ დონეზე განსხვავდება საბაზისო და ექსპერტული სტანდარტები – განსხვავებული პრევენციული სამუშაოსა და ორგანიზაციათა სხვადასხვა შესაძლებლობის შესაბამისად. ამ დოკუმენტში შევაჯამებთ მხოლოდ საბაზისო სტანდარტებს, მაგრამ, სრულ სახელმძღვანელოში ყველა სტანდარტის მოძიებაა შესაძლებელი.

ცხრილი 1: პროექტის ეტაპები და კომპონენტები ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული ხარისხის სტანდარტების ფარგლებში

გამჭოლი საკითხები
A: მდგრადობა და დაფინანსება
B: კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა
C: პერსონალის განვითარება
D: ეთიკური პრევენცია
1. საჭიროებების შეფასება
1.1 ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის ცოდნა
1.2 ნარკოტიკების მოხმარებისა და თემის საჭიროების შეფასება
1.3 საჭიროების აღწერა – ჩარევის დასაბუთება
1.4 სამიზნე პოპულაციის გაგება
2. რესურსების შეფასება
2.1 სამიზნე პოპულაციისა და თემის რესურსების შეფასება
2.2 შიდა შესაძლებლობების შეფასება
3. პროგრამის ჩამოყალიბება
3.1 სამიზნე პოპულაციის განსაზღვრა
3.2 თეორიული მოდელის გამოყენება
3.3 მიზნების, დანიშნულებებისა და ამოცანების განსაზღვრა
3.4 გარემოს განსაზღვრა
3.5 ეფექტიანობის მტკიცებულების შეჯერება
3.6 დროის გრაფიკის განსაზღვრა
4. ჩარევის დაგეგმვა
4.1 დაგეგმვა ხარისხის და ეფექტიანობის უზრუნველყოფით
4.2 თუ ირჩევთ არსებული ჩარევებიდან
4.3 ჩარევის მორგება სამიზნე პოპულაციაზე
4.4 თუ საბოლოო შეფასებას გეგმავთ
5. რესურსების მართვა და მობილიზება
5.1 პროგრამის დაგეგმვა – პროექტის გეგმის განმარტება
5.2 ფინანსური მოთხოვნების დაგეგმვა
5.3 გუნდის შეკვრა
5.4 მონაწილეთა მოზიდვა და შენარჩუნება
5.5 პროგრამის მასალების მომზადება
5.6 პროგრამის აღწერის წარდგენა
6. მიწოდება და მონიტორინგი
6.1 თუ საპილოტე ჩარევას ატარებთ
6.2 ჩარევის განხორციელება
6.3 განხორციელების მონიტორინგი
6.4 განხორციელების მორგება
7. საბოლოო შეფასებები
7.1 თუ შედეგების შეფასებას ატარებთ
7.2 თუ პროცესის შეფასებას ატარებთ
8. გავრცელება და გაუმჯობესება
8.1 განსაზღვრა, უნდა შენარჩუნდეს თუ არა პროგრამა
8.2 პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება
8.3 თუ ადგენთ საბოლოო ანგარიშს

ხარისხის სტანდარტების სახელმძღვანელოს გამოყენება

მოცემული მოკლე გზამკვლევი გახლავთ იმ ხარისხის სტანდარტების შეჯამება, რომელიც ხელმისაწვდომია მე-5 გვერდზე ჩარჩოში მითითებულ ვებსაიტზე. ამ სახელმძღვანელოში ხარისხის სტანდარტები განიხილება ამოსავალ ორიენტირებად, რომლებიც ეხმარება პროფესიონალებს, იმსჯელონ, პრევენციის აქტივობა, ჩამტარებელი, ა.შ. უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს თუ არა. სტანდარტების სახელმძღვანელო პრაქტიკოსებსა და პრევენციის დარგში მომუშავე სხვა პროფესიონალებს უბიძგებს, დაფიქრდნენ, არსებული აქტივობები რა მიმართებაშია სტანდარტებთან და როგორ შეიძლება სტანდარტების გამოყენებით მათი გაუმჯობესება უკეთესი და უფრო მდგრადი შედეგების მისაღებად.სახელმძღვანელოში მოცემულია დეტალური

მითითებები, როგორ უნდა იქნეს ან არ უნდა იქნეს გამოყენებული სტანდარტები. პროფესიონალებს სტანდარტების სახელმძღვანელო ყველაზე მეტ სარგებელს მისცემს, თუ მას გამოიყენებენ:

- ინფორმაციის მისაღებად, განათლების მიზნებისთვის და სახელმძღვანელოდ (მაგ. საუნივერსიტეტო კურსებში, სუპერვიზიისთვის)
- თვითრეფლექსიისთვის ან ჯგუფური მსჯელობებისთვის (მაგ. ის პრაქტიკოსები, ვინც [უშუალო] კონტაქტში არიან სამიზნე პოპულაციასთან; მომსახურების მენეჯერები ან რეგიონული დამგეგმავი გუნდები)
- როგორც საკონტროლო სიას მომსახურების შემუშავების ან შეფასების პერიოდში (მაგ. პროგრამის შემმუშავებლები, შემფასებლები)
- ხარისხის კრიტერიუმების შესამუშავებლად ან გასაახლებლად (მაგ. პოლიტიკის განმსაზღვრელები, დამფინანსებლები)
- მიღწევების შესაფასებლად (მაგ. პროფესიული განვითარების საჭიროებების განსასაზღვრად).

სტანდარტები განკუთვნილია ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის აქტივობების (როგორიცაა ნარკოგანათლება, სტრუქტურირებული პროგრამები, აუთრიჩ სამუშო, ხანმოკლე ჩარევები), გარემოების (მაგ. სკოლები, თემები, ოჯახები, გასართობი სივრცეები, სასჯელაღსრულების სისტემა) და სამიზნე პოპულაციების (მაგ. ახალგაზრდები, ოჯახები, ეთნიკური ჯგუფები) ფართო სპექტრისთვის. პრევენციული აქტივობები, რომლებისთვისაც ეს სტანდარტებია გათვლილი, შესაძლოა მიმართული იყოს ლეგალურ ნივთიერებებზე, როგორიცაა ალკოჰოლი ან თამბაქო, და/ან აკრძალულ ნივთიერებებზე.

პრევენციულ მუშაობაში, ამ მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სტანდარტების სრული პაკეტი გვთავაზობს ორ სხვადასხვა დონეს: „საბაზისოსა“ და „ექსპერტულს“. საბაზისო სტანდარტები გამოყენებადი უნდა იყოს ნარკოტიკების პრევენციის ყველა საქმიანობისთვის, კონკრეტულ ვითარებათა მიუხედავად. ექსპერტული სტანდარტები შეესაბამება ხარისხის უფრო მაღალ დონეს, თუმცა, ისინი შესაძლოა ყოველთვის ვერ გამოიყენებოდეს ამა თუ იმ ვითარებაში და მაშინ სტანდარტების მომხმარებლებმა უნდა განსაზღვრონ, არის თუ არა ისინი კონკრეტული პრევენციული საქმიანობისთვის შესაბამისი, სასარგებლო და გამოყენებადი. სიმარტივისთვის, მოცემული მოკლე გზამკვლევი მხოლოდ საბაზისო სტანდარტებს ეხება.

თუმცა კი მოცემული სტანდარტები ძირითადად ჩარევებისთვისაა განკუთვნილი, ისინი შესაძლოა პროფესიონალებს დაეხმაროს შეფასებაში, რა წვლილი აქვს ნარკოტიკების მოხმარების პრევენციაში ადამიანებს, ორგანიზაციებს, პოლიტიკასა და (სამთავრობო) სტრატეგიებს. რეალურად, ზოგი სტანდარტი შესაძლოა მიღწეული იქნას მხოლოდ იმ პრაქტიკული და სტრატეგიული კონტექსტის გათვალისწინებითა და გაუმჯობესებით ა, რომლებშიც ჩარევა მიმდინარეობს. მაგალითად, მთავრობისა და დამფინანსებელი ორგანოების მიერ დასახული პრიორიტეტები და სტრატეგიები ხელს უნდა უწყობდეს პრევენციაში კარგ პრაქტიკას.

მოცემული სახელმძღვანელო, რომელიც სტანდარტების შესამუშავებლად ჩატარებულ კონსულტაციებს ეფუძნება, ნაკლებად არის შესაფერისი ზოგი კონკრეტული მიზნისთვის. ხარისხის სტანდარტების გამოყენება ვერ ჩაანაცვლებს პროცესისა და შედეგის შეფასებებს. თუმცა კი, სტანდარტები შეიძლება დაგვეხმაროს შეფასების უკეთესი შედეგების მიღებაში, მაინც, შეფასებები აუცილებელია იმის შესატყობად, თუ რამდენად ნაყოფიერია ჩარევები. როგორც სახელმძღვანელო გვაუწყებს, სტანდარტები ასევე ნაკლებად გამოდგება ოფიციალური თვითშეფასებისთვის, სტრუქტურირებული ტრენინგისთვის, გარე აკრედიტაციისთვის ან დაფინანსების გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, 2013 წლის აპრილიდან 2015 წლის მარტამდე ჩატარდა მიდევნების პროექტი, სახელად „ევროკავშირში ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ხარისხის გაუმჯობესება – ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ევროპული ხარისხის სტანდარტების პროექტის მე-2 ეტაპი“, რომლის მიზანი იყო, სტანდარტები ამ კონკრეტული დანიშნულებებისთვის უფრო შესაფერისი გაეხადა. ის ასევე იკვლევდა, როგორ შეიძლება, სტანდარტებმა გააუმჯობესოს პრევენციული საქმიანობა პრაქტიკულად და როგორ შეიძლება მოხერხდეს სტანდარტების დაკმაყოფილების ფორმალური დადასტურება. ამ მიდევნების პროექტის ნაწილის სახით გამოიცა მაგალითები, თუ როგორ გამოიყენება სტანდარტები ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სტანდარტების დანერგვის დასახმარებელი ინსტრუმენტი.

მოკლე გზამკვლევისა და საკონტროლო სიების გამოყენება

ეს მოკლე გზამკვლევი განკუთვნილია:

- პროფესიონალებისთვის, რომლებიც ჯერ არ იცნობენ პრევენციის ხარისხის სტანდარტების კონცეფციას და სურთ, მეტი შეიტყონ ამ საკითხზე;
- პროფესიონალებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ სტანდარტების შესახებ მეტი ინფორმაცია, რათა გადაწყვიტონ, ვრცელი სახელმძღვანელოს გაცნობა დაეხმარებათ თუ არა მუშაობაში;
- პროფესიონალებისთვის, რომლებსაც სურთ, გადადგან პირველი ნაბიჯი თვითრეფლექსიის ჩატარებაში ხარისხის სტანდარტების გამოყენებით.

რაც შეეხება პროფესიონალთა ჯგუფებს, ეს დოკუმენტი განსაკუთრებით გამოადგებათ პოლიტიკის განმსაზღვრელებსა და მათ წარმომადგენლებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე, ასევე, სერვისმენეჯერებს.

მართალია, ჩვენი სახელმძღვანელო უკვე გადაითარგმნა რამდენიმე ენაზე (უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. EMCDDA-ს ვებგვერდი), წინამდებარე დოკუმენტი ასევე გამიზნულია, გააცნოს სტანდარტები დაინტერესებულ პირებს იმ ქვეყნებშიც, სადაც სრული სახელმძღვანელოს თარგმანი ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი.

ეს დოკუმენტი არ ანაცვლებს არსებულ სახელმძღვანელოს, არამედ აჯამებს სახელმძღვანელოს შინაარსს და უბიძგებს პროფესიონალებს, დაიწყონ სტანდარტების გამოყენება თვითრეფლექსიისთვის. სახელმძღვანელოსა და ამ მოკლე გზამკვლევს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება გვხვდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელმძღვანელოში ჩამოთვლილია ფაქტობრივი სტანდარტები და განსხვავებულია ერთმანეთისგან საბაზისო და ექსპერტული დონის სტანდარტები. მოცემული დოკუმენტი არ შეიცავს ფაქტობრივ სტანდარტებს – მასში მხოლოდ საბაზისო სტანდარტებია შეჯამებული. ამის გარდა, დოკუმენტი შეიცავს დეტალურ შესავალს; დამატებით ინფორმაციას, თუ როგორ უნდა იყოს სტანდარტები გამოყენებული; ამომწურავ სიტყვარს; და ამოსავალ დოკუმენტებს, რომლებზედაც სტანდარტები არის დაფუძნებული. ეს ინფორმაცია აუცილებელია სტანდარტების კონტექსტისა და მნიშვნელობის კარგად გასაგებად.

როცა კი ეს შესაძლებელია, მოკლე გზამკვლევის მომხმარებლებმა უნდა მიმართონ სრულ სახელმძღვანელოს სტანდარტების უკეთ წვდომის მოსაპოვებლად. დამატებითი მასალები მისაწვდომია ელექტრონულ ფორმატშიც EMCDDA-ს ვებგვერდზე და პროექტის ვებგვერდზე (იხ. ბმული ჩარჩოში მე-5 გვერდზე).
რადგან დოკუმენტში დეტალები შეზღუდულადაა წარმოდგენილი და მასში ყურადღება გამახვილებულია ზოგად ინფორმაციასა და თავდაპირველ თვითრეფლექსიაზე, ეს მოკლე გზამკვლევი ნაკლებად გამოდგება სხვა დანიშნულებით (მაგ. ხარისხის კრიტერიუმების შესამუშავებლად). პროფესიონალები, რომლებსაც სტანდარტების ამ დანიშნულებით გამოყენება აინტერესებთ, მხოლოდ სრულ სახელმძღვანელოს უნდა დაეყრდნონ.

გზამკვლევის მომდევნო ნაწილში მოკლედ წარმოგიდგენთ პროექტის ყველა ეტაპს და კომპონენტს, აღვნიშნავთ, რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი და სასარგებლო პრევენციის პროფესიონალებისთვის და სამიზნე პოპულაციისთვის. საბაზისო სტანდარტები შეჯამებულია თვითრეფლექსიის საკონტროლო სიის ფორმით, რომელიც მომხმარებლებს ასევე სთავაზობს სპეციალურ სივრცეს, გაიაზრონ თავიანთი სამუშაო თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში. საკონტროლო სიებში ცხრილები შედგება ხუთი სვეტისგან: საბაზისო სტანდარტების შეჯამება; სამი უჯრა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად დაკმაყოფილებულია სტანდარტები მიმდინარე მდგომარეობით; უჯრა „არ მეხება“; ადგილი მიმდინარე მდგომარეობაზე შენიშვნების შესატანად; და ადგილი აუცილებელი მიდევნების ქმედებათა ჩასაწერად. მოკლე გზამკვლევის ბოლოს შეჯამების გვერდი მკითხველებს მოუწოდებს, ჩაიწერონ, რა ძირითადი დასკვნები გამოიტანეს და რა ქმედებების განხორციელება ჩათვალეს საჭიროდ საკონტროლო სიების შევსების შედეგად.

ცხრილი „როგორ შევავსოთ საკონტროლო სია“ გვიჩვენებს სიების სექციებსა და გვაწვდის მათი შევსების ინსტრუქციებს.

საკონტროლო სიების დანიშნულებაა, დაეხმაროს თავდაპირველ თვითრეფლექსიას, ანუ განისაზღვროს პიროვნების საკუთარი პოზიცია სტანდარტებთან მიმართებაში და გამოვლინდეს გასაუმჯობესებელი არეები. მოცემული სავარჯიშოს ნამდვილი ბუნება დამოკიდებული იქნება პროგრამისა თუ ორგანიზაციის კონკრეტულ გარემოებებზე: რა არის სასურველი („რის მიღწევა მინდა/გვინდა?“) და რა არის რეალისტური (რის მიღწევა შემიძლია/შეგვიძლია რეალურად?“). სახელმძღვანელოში ზოგ სტანდარტს ახლავს მაგალითები, თუ რა გზით შეიძლება იყოს მიღწევა პრაქტიკულად გათვალსაჩინოებული – ეს შეიძლება პროფესიონალებს დაეხმაროს შეფასებაში, სტანდარტები დაკმაყოფილებულია თუ არა. მიდევნების პროექტი, რომელიც განხორციელდა 2013 წლის აპრილიდან 2015 წლის მარტამდე, ასევე გთავაზობთ სპეციალურ ინდიკატორებს სტანდარტების მიღწევათა გათვალსაჩინოებისთვის. მტკიცებულებების წყაროებში შესაძლოა შედიოდეს წერილობითი მტკიცებულება, მაგალითად, პროექტის გეგმა ან ორგანიზაციის აღწერა (მაგ. კომპანიის/მომსახურების ვებგვერდზე), სამუშაოს პროცედურებზე ან პროგრამის განხორციელებაზე უშუალო დაკვირვება ან პერსონალთან, მონაწილეებთან და/ან დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრება. თუმცა, საკონტროლო სიები ამ დოკუმენტის მომხმარებლებს არ ავალდებულებს, ოფიციალურად წარმოადგინონ სტანდარტების დაკმაყოფილების მტკიცებულებები. სტანდარტების გამოყენებაზე ოფიციალური თვითშეფასების ჩატარებაში დაინტერესებულ პროფესიონალებს გამოადგებათ ინსტრუმენტები, რომლებიც მიდევნების პროექტის ნაწილის სახით შემუშავდა.

როგორ შევავსოთ საკონტროლო სია

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს?
ამ განყოფილებაში შედის კომპონენტების დასახელებები და ჯამდება საბაზისო სტანდარტები, რომლებსაც თითოეული კომპონენტი მოიცავს. ყოველი კომპონენტის განხილვისას მომხმარებლებმა უნდა დაიხმარონ სტანდარტების სრული ვერსია, რათა დეტალურად შეიტყონ მასთან დაკავშირებული საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების შესახებ. ეს მათ საკუთარი პოზიციის გააზრებასა და განსაზღვრაში დაეხმარება.	სიის ეს ნაწილი მომხმარებელს ეხმარება, შეაფასონ საკუთარი სამუშაოს (მაგ. პროფესიული განვითარება, აქტივობა, მოწყობა, სტრატეგია, სხვა) სტანდარტებთან შესაბამისობა – კატეგორიებიდან: „არ აკმაყოფილებს“,„ნაწილობრივ აკმაყოფილებს“, ან „სრულად აკმაყოფილებს“ ერთ-ერთის მონიშვნით. ამ სკალაზე საკუთარი სამუშაოს ადგილის განსაზღვრა პროფესიონალებს დაეხმარება, დაადგინონ დასახვეწი არეები და თვალი ადევნონ პროგრესს დროთა განმავლობაში. ზოგადი ინსტრუქციაა: კატეგორია „არ აკმაყოფილებს“ უნდა შეირჩეს, თუ არცერთი ან ძალიან ცოტა კრიტერიუმია დაკმაყოფილებული; კატეგორია „ნაწილობრივ აკმაყოფილებს“ შეირჩევა, თუ			გრაფა „არ მეხება“ უნდა მოინიშნოს მხოლოდ მაშინ, თუ აუცილებელია და მხოლოდ სტანდარტების რელევანტობის საგულდაგულო გააზრების შემდეგ. მომხმარებლები უნდა ერიდონ ამ გრაფის ზედმეტად იოლად მონიშვნას და უნდა გააცნობიერონ, რომ შესაძლოა, სტანდარტი სწორედ რომ აქტუალურია, მხოლოდ ამჟამად შესრულებადი არ არის. „არ მეხებას“ შერჩევისას სვეტში „შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე“ შეტანილი უნდა იქნეს მოკლე კომენტარი, რომელიც განმარტავს, მოცემული კომპონენტი (ამჟამად) რატომ არ იქნა მიჩნეული რელევანტურად.	ამ სვეტში მონაწილეებს შეუძლიათ, გააკეთონ კომენტარები საკუთარ შეფასებებზე. აქ შესაძლებელია, აღწეროთ, უკვე რა სტანდარტებს აკმაყოფილებთ და მოიტანოთ მტკიცებულება თქვენი შეფასების დასასაბუთებლად (სადაც ეს შესაძლებელია, დაასახელოთ მტკიცებულების ხელშესახები ელემენტები). ეს არის შესაძლებლობა, თვალსაჩინო გახადოთ კარგად შესრულებული სამუშაო, რომელიც უკვე გაკეთდა. მომხმარებლებმა ეს სივრცე უნდა გამოიყენონ სუსტი მხარეებისა და დასახვეწი არეების გამოსაკვეთადაც (მაგ. ჯერჯერობით რა სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული და რატომ).	ამ სვეტში უნდა დასახელდეს მიმდინარე საქმიანობის გასაუმჯობესებლად საჭირო ქმედებები და ცვლილებები. მაგალითად, აქ შეიძლება დასახელებული იყოს პროექტის გეგმის გადახედვის საჭიროება ან პერსონალის დამატებითი მომზადების საჭიროება. ქმედებები და ცვლილებები უნდა იყოს რეალისტური, რათა მოსაზრებები პრაქტიკულად გამოსადეგი იყოს: „რა ქმედებები და ცვლილებები შემიძლია/შეგვიძლია განვახორციელო(თ) ახლა (ან უახლოეს მომავალში) ჩემი/ჩვენი პრევენციული საქმიანობის გასაუმჯობესებლად?“ თუმცა, შესაძლოა, სასარგებლო იყოს, აღვნიშნოთ გრძელვადიანი ქმედებები და მიზნებიც,

	ყველა საბაზისო სტანდარტი ან მათი უმრავლესობაა დაკმაყოფილებული და კატეგორია „სრულად აკმაყოფილებს“ მოინიშნება, თუ დაკმაყოფილებულია ყველა საბაზისო და მეტი წილი ექსპერტული სტანდარტებისა – თუმცა ესეც დამოკიდებული იქნება პროგრამისა თუ ორგანიზაციის კონკრეტულ გარემოებებზე.			რომლებსაც მოგვიანებით მივხედავთ (მაგ. მომდევნო მიმოხილვის შემდეგ). ქმედებებისთვის უფრო კონკრეტული სახის მისაცემად შეიძლება სასარგებლო იყოს, დავფიქრდეთ და აღვნიშნოთ: როდის განხორციელდება ეს ცვლილებები; ვინ იქნება ამით დაკავებული; და რა რესურსები იქნება ამისთვის საჭირო.

სტანდარტები და საკონტროლო სიები

გამჭოლი საკითხები

პრევენციაზე მუშობისას რეგულარულად წამოიჭრება ხოლმე ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც არ ეხება პროექტის მხოლოდ ერთ ეტაპს, არამედ პროექტის მთელ ციკლს მსჭვალავს. ჩვენი სტანდარტებიდან გამომდინარე, პროექტის ციკლის შუაგულში მოვათავსეთ ოთხი თემა, რომლებიც პროექტის თითოეულ ეტაპზე უნდა იყოს გათვალისწინებული.

ა: მდგრადობა და დაფინანსება
პროგრამებს ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის უფრო ფართო ჩარჩოში ჩასმულ ღონისძიებად უნდა განვიხილავდეთ. პრევენციული საქმიანობის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა რაც შეიძლება დიდხანს უნდა იყოს უზრუნველყოფილი. იდეალურ შემთხვევაში, პროგრამები შეიძლება გაგრძელდეს მათი თავდაპირველი განხორციელების მერეც და/ან გარე დაფინანსების შეწყვეტის შემდეგაც. თუმცა, მდგრადობა დამოკიდებულია არა მხოლოდ დაფინანსების შესაძლებლობაზე, არამედ, ასევე, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უწყვეტ ერთგულებაზე ნარკოტიკების პრევენციაზე მომუშავე ორგანიზაციის და/ან ამ დარგის მიმართ. ამ კომპონენტის სტანდარტები მოგვიხაზავს, როგორ შეიძლება მდგრადობის უზრუნველყოფა პროგრამების „ჩასმით“ არსებულ სისტემებში და აუცილებელი რესურსების, განსაკუთრებით, დაფინანსების უზრუნველსაყოფი სტრატეგიების შემუშავებით.

ბ: კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა
დაინტერესებული მხარეები არიან ის პიროვნებები, ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ლეგიტიმური ინტერესი პროგრამის აქტივობებისა და შედეგების მიმართ და/ან რომლებზეც პირდაპირ ან ირიბად ახდენს პროგრამა გავლენას; ასეთები არიან სამიზნე პოპულაცია, თემი, დამფინანსებლები და ნარკოტიკების პრევენციის სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციები. აუცილებელია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირება და საჭიროებისამებრ მათი ჩართვა პროგრამაში. სამიზნე პოპულაციის მხარდაჭერა და თანამშრომლობა ნებისმიერი პროგრამისთვის აუცილებელი პირობაა. დაინტერესებული მხარეების ჩართვის სხვა ფორმები შეიძლება იყოს კავშირების გაბმა თემის „ლიდერებთან“ ან ადგილობრივ მედიასთან, რომლებიც ამის მერე მხარს დაუჭერენ პროგრამას და გაზრდიან მის ხილვადობას. ამ სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციების ჩართვა სასარგებლოა საქმიანობის კოორდინირებისთვის, მიღებული გაკვეთილების გასაზიარებლად და ერთობლივი დაგეგმვისა და დაფინანსების შესაძლებლობისთვის. კომუნიკაციის სტრატეგია შესაძლებელს ხდის პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა ჯგუფს შორის აზრთა მიმოცვლას და რესურსების ოპტიმიზაციას.

გ: პერსონალის განვითარება
ეს კომპონენტი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან: პერსონალის მომზადება; მუდმივი განვითარება; და პროფესიული და ემოციური მხარდაჭერა. პერსონალის მომზადების საჭიროებები უნდა შეფასდეს პროგრამის განხორციელებამდე და მის წევრებს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი პროგრამის ხარისხიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. იმის მიუხედავად, რომ სტანდარტები არ არის ფოკუსირებული პროფესიულ კომპეტენციებზე, როგორც ასეთზე, ხარისხის სტანდარტები შეიძლება დაეხმაროს სატრენინგო გეგმების შედგენას პერსონალის წევრებისთვის აუცილებელი პროფესიული კომპეტენციების გამოკვეთით ([5]). პერსონალის მუდმივი განვითარება არის მისი წევრების დაჯილდოებისა და შენარჩუნების საშუალება, ასევე, უზრუნველყოფის გზა, რომ მათი ცოდნა და უნარები უახლეს მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. მნიშვნელოვანია, პროგრამის განხორციელების განმავლობაში პერსონალის წევრებს მისცეთ შესაძლებლობა, გააანალიზონ საკუთარი მუშაობა და გააუმჯობესონ მისი შესრულების ხარისხი.

დ: ეთიკური პრევენცია
ნარკოტიკების პრევენციის საქმიანობა შესაძლოა არ მოითხოვდეს ფიზიკურ ან კლინიკურ ჩარევას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის ადამიანთა ცხოვრებაში ჩარევის ერთ-ერთი ფორმაა. ამის გარდა, პრევენცია, როგორც წესი, მიმართულია ახალგაზრდებზე და შერჩევითი ან მიზანმიმართული ჩარევების შემთხვევაში ეს ახალგაზრდა ადამიანები შესაძლოა საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილის წარმომადგენლები იყვნენ. პროფესიონალებმა არ უნდა მიიჩნიონ, რომ ნარკოტიკების პრევენციის საქმიანობა უპირობოდ ეთიკური ან მონაწილეთათვის სასარგებლოა. სტანდარტები მოკლედ გადმოსცემს ეთიკური პრევენციის პრინციპებს, რომლებიც

ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: მიმწოდებლის ქცევის კანონიერება; მონაწილეთა უფლებებისა და ავტონომიის პატივისცემა; რეალური სარგებელი მონაწილეთათვის; უვნებლობა მონაწილეთათვის; სწორი ინფორმაციის მიწოდება; თანხმობის მოპოვება; ნებაყოფლობითი მონაწილეობა; კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა; ჩარევის მორგება მონაწილეთა საჭიროებებზე; მონაწილეთა ჩართვა პარტნიორებად; ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. შესაძლოა, ყოველთვის ვერ ხერხდებოდეს ეთიკური ჩარევის ყველა პრინციპის დაცვა, მაგრამ ეთიკური მიდგომა თვალსაჩინო უნდა იყოს პროექტის ყველა ეტაპზე. შესაბამისად, მონაწილეთა უფლებების დასაცავად შედგება ანგარიშები და ტარდება მუშაობა პოტენციური რისკების შესაფასებლად და შესამცირებლად.

(5) ამ თემას მიძღვნილი რესურსის მაგალითის გასაცნობად იხ. 'Competencies for Canada's Substance Abuse Workforce', მომზადებული ნივთიერებების ავადმოხმარების კანადის ცენტრის მიერ (Canadian Centre on Substance Abuse, CCSA), ხელმისაწვდომია ბმულზე: www.ccsa.ca/eng/priorities/workforce/competencies/

გამჭოლი საკითხები

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
ა: მდგრადობა და დაფინანსება: პროგრამა მხარს უჭერს ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის გრძელვადიან ხედვას და არ არის ფრაგმენტული მოკლევადიანი ინიციატივა. პროგრამა არის თანმიმდევრული თავის ლოგიკურ და პრაქტიკულ მიდგომაში. პროგრამა მოიძიებს დაფინანსებას სხვადასხვა წყაროდან.	☐	☐	☐	☐		
ბ: კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: გათვალისწინებულია, რომ ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია მრავალ სხვადასხვა მომსახურებას მოითხოვს. პროგრამასთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარე (მაგ. სამიზნე პოპულაციები, სხვა ორგანიზაციები) განსაზღვრულია და ჩართულები არიან იმ სახით, როგორც ეს პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვისაა საჭირო. ორგანიზაცია თანამშრომლობს სხვა	☐	☐	☐	☐		

დაწესებულებებთან და ინსტიტუციებთან.				

გამჭოლი საკითხები (გაგრძ.)

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
გ: პერსონალის განვითარება: განხორციელებამდე უზრუნველყოფილია, რომ პერსონალის წევრებს ჰქონდეთ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციები. თუ აუცილებელია, მიეწოდებათ ტრენინგის საჭიროების ანალიზზე დაფუძნებული ხარისხიანი ტრენინგი. განხორციელების განმავლობაში პერსონალის წევრებს აქვთ სათანადო მხარდაჭერა მათ საქმიანობაში.	☐	☐	☐	☐		
დ: ეთიკური პრევენცია: განსაზღვრულია ეთიკის კოდექსი. მონაწილეთა უფლებები დაცულია. პროგრამას მონაწილეებისთვის მოაქვს თვალსაჩინო სარგებელი და არაფრით არ ვნებს. მონაწილეთა მონაცემები ინახება კონფიდენციალურად. დაცულია მონაწილეთა და პერსონალის წევრთა ფიზიკური უსაფრთხოება.	☐	☐	☐	☐		

პროექტის ეტაპი **1:** საჭიროებების შეფასება

ჩარევის დეტალურად დაგეგმვამდე მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ ნარკოტიკების მოხმარების პრობლემასთან დაკავშირებული საჭიროებების ხასიათი და მასშტაბები, ასევე, მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები. ეს შეფასება დაგვარწმუნებს, რომ ჩარევა აუცილებელია, და მიმართული იქნება სწორ საჭიროებებსა და სამიზნე პოპულაციაზე/პოპულაციებზე. განასხვავებენ საჭიროებათა ოთხ ტიპს. ესენია: პოლიტიკის საჭიროებები, (ზოგადი) თემის საჭიროებები, პრევენციის მიწოდებაში არსებული ხარვეზებით გამოწვეული საჭიროებები და (კონკრეტული) სამიზნე პოპულაციის საჭიროებები.

1.1 ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის ცოდნა: ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა და კანონმდებლობა უნდა იყოს ნივთიერებების მოხმარების ყველა პრევენციული აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპი. გუნდმა უნდა იცოდეს ნარკოტიკულ ნივთიერებასთან დაკავშირებული პოლიტიკა და კანონმდებლობა ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე და მის შესაბამისად მუშაობდეს. თუ პროგრამა მუშაობს ისეთ საჭიროებებზე, რომლებიც არ არის მიმდინარე პოლიტიკის პრიორიტეტები, ეს პროგრამა მაინც მხარს უნდა უჭერდეს პრევენციის უფრო ფართო დღის წესრიგს, როგორც ეს ეროვნულ ან საერთაშორისო სტრატეგიებშია განსაზღვრული. სათანადო შემთხვევებში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა მითითებებიც, როგორიცაა, მაგალითად, დამავალდებულებელი სტანდარტები და დირექტივები.

1.2 ნარკოტიკების მოხმარებისა და თემის საჭიროებების შეფასება: პროექტის ამ ეტაპის მეორე კომპონენტი არის აუცილებლობა, შეფასდეს ნარკოტიკების მოხმარების სიტუაცია საერთო პოპულაციაში ან კონკრეტულ ქვეპოპულაციაში. პრევენციული მუშაობის დაგეგმვისას არ კმარა ვარაუდებზე ან იდეოლოგიაზე დაყრდნობა, არამედ, პრევენციული ჩარევები თუ პოლიტიკა უნდა განისაზღვრებოდეს ადამიანების საჭიროებათა ემპირიული შეფასებით. შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იყოს რაოდენობრივი და/ან თვისებრივი მეთოდები და უნდა ეყრდნობოდეს არსებულ (ეპიდემიოლოგიურ) მონაცემებს იქ, სადაც ხარისხიანი რელევანტური მონაცემები უკვე ხელმისაწვდომია. ასევე, უნდა შეფასდეს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც, როგორიცაა სიღარიბე და უთანასწორობა, რათა გათვალისწინებული იყოს კავშირი ნარკოტიკების მოხმარებასა და სხვა საჭიროებებს შორის. ერთ საჭიროებების შეფასებას შესაძლებელია დაეყრდნოს რამდენიმე სხვადასხვა აქტივობა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუმცა მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების მოძველების თავიდან აცილება. ამ სტანდარტების დაკმაყოფილებაში შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს დარგში მომუშავე რეგიონულმა კოორდინაციის გუნდებმა.

1.3 საჭიროების აღწერა – ჩარევის დასაბუთება: თემის საჭიროებათა შეფასების მონაცემები დოკუმენტირებული და სიტუაციას შესაბამებულია – ჩარევის საჭიროების დასასაბუთებლად. დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იყოს თემის თვალსაზრისები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩარევა მათთვის რელევანტური იქნება. ყურადღების გამახვილება „საჭიროებებზე“, ნაცვლად „პრობლემებისა“, შესაძლოა დაგვეხმაროს, პროგრამაში ჩავრთოთ ისეთი დაინტერესებული მხარეც, რომელსაც სხვაგვარად თავი შესაძლოა სტიგმატიზებულად ეგრძნო. ამ დროსვე ხდება უკვე არსებული პრევენციული ჩარევების თუ პოლიტიკის განხილვა, რათა დადგინდეს, როგორ შეიძლება, ახალი პროგრამა მიწოდების მიმდინარე სტრუქტურას დაემატოს.

1.4 სამიზნე პოპულაციის გაგება: ამის მერე საჭიროებების შეფასება უფრო ღრმავდება: გროვდება დეტალური მონაცემები სავარაუდო სამიზნე პოპულაციაზე, როგორიცაა ინფორმაცია რისკისა და დამცველ ფაქტორებზე, ასევე, სამიზნე პოპულაციის კულტურასა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სამიზნე პოპულაციისა და მისი რეალობის კარგი გაგება ნივთიერებების მოხმარების ეფექტიანი, ხარჯთეფექტური და ეთიკური პრევენციის წინაპირობაა. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ძირითადი სამიზნე პოპულაციის (მაგ. ნივთიერებების მოხმარების რისკის წინაშე მდგარი ახალგაზრდები) გარდა დამატებით გათვალისწინებული იყოს შუალედური სამიზნე პოპულაციაც, რომლის წევრებმაც შესაძლოა მიიღონ ჩარევა იმის მიუხედავად, რომ არ დგანან

ნივთიერებების მოხმარების რისკის წინაშე (მაგ. მშობლები, მასწავლებლები).

ამ ეტაპის ჩატარება დასაშვებია რესურსების შეფასების თანადროულად ან მის შემდეგ.

1. საჭიროებების შეფასება

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
1.1 ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის ცოდნა: ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის არსებული ცოდნა საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამა მხარს უჭერს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და/ან საერთაშორისო პრიორიტეტებს, სტრატეგიებსა და პოლიტიკას.	☐	☐	☐	☐		
1.2 ნარკოტიკების მოხმარებისა და თემის საჭიროების შეფასება: შეფასებულია თემის საჭიროებები (ან იმ გარემოს საჭიროებები, რომელშიც პროგრამა იქნება მიწოდებული). გროვდება დეტალური და მრავალფეროვანი ინფორმაცია ნარკოტიკების მოხმარების გარშემო. კვლევა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყენებს არსებულ ეპიდემიოლოგიურ ცოდნას და იცავს ეთიკური კვლევის პრინციპებს.	☐	☐	☐	☐		

1. საჭიროებების შეფასება (გაგრძ.)

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
1.3 საჭიროების აღწერა – ჩარევის დასაბუთება: დასაბუთებულია ჩარევის საჭიროება, საჭიროებათა შეფასებაზე დაყრდნობით აღწერილია ძირითადი საჭიროებები და განსაზღვრულია სიტუაციის შესაძლო სამომავლო განვითარება ჩარევის არარსებობის შემთხვევაში. დადგენილია ხარვეზები მომსახურების მიმდინარე მიწოდებაში.	☐	☐	☐	☐		
1.4 სამიზნე პოპულაციის გაგება: პოტენციური სამიზნე პოპულაცია შერჩეულია საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით. საჭიროებების შეფასება ითვალისწინებს სამიზნე პოპულაციის კულტურას და მის შეხედულებებს ნარკოტიკების მოხმარებაზე.	☐	☐	☐	☐		

პროექტის ეტაპი **2:** რესურსების შეფასება

პროგრამას განსაზღვრავს არა მხოლოდ სამიზნე პოპულაციის საჭიროებები, არამედ ხელმისაწვდომი რესურსებიც. მაშინ, როცა საჭიროებების შეფასება (იხ. „1: საჭიროებების შეფასება“) განსაზღვრავს, რის მისაღწევად უნდა იყოს გამიზნული ჩარევა ან პოლიტიკა, რესურსების შეფასება იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ არის შესაძლებელი და რა გზით არის შესაძლებელი ამ მიზნების მიღწევა. ამგვარად, რესურსები უნდა შეფასდეს იმის რეალისტური გაგებისთვის, თუ რა ტიპის პროგრამა იქნება სასურველი და რა მასშტაბის შეიძლება ის იყოს.

2.1 სამიზნე პოპულაციისა და თემის რესურსების შეფასება: პრევენციული პროგრამები თუ პოლიტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს წარმატებული, თუ სამიზნე პოპულაცია, თემი და სხვა რელევანტური დაინტერესებული მხარეები „მზად“ არიან, მასში ჩაერთონ (ანუ, თუ მათ შეუძლიათ და სურთ, მონაწილეობა მიიღონ ჩარევაში ან მხარი დაუჭირონ მას). ასევე, მათ შესაძლოა ჰქონდეთ რესურსები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ჩარევის ფარგლებში (მაგ. ქსელები, უნარები). ამ კომპონენტში სტანდარტები მოითხოვს, რომ შეფასდეს და გათვალისწინებული იქნეს ჩარევის შემაფერხებელი და ხელშემწყობი პოტენციური წყაროები, ასევე, რესურსები, რომლებზეც რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებს მიუწვდებათ ხელი.

2.2 შიდა შესაძლებლობების შეფასება: შიდა რესურსებისა და შესაძლებლობების ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ის ხელმისაწვდომი პერსონალის, ფინანსური და სხვა სახის რესურსების შესაბამისია. ეს ნაბიჯი სრულდება პროგრამის ან პოლიტიკის ჩამოყალიბებამდე, იმის გასაგებად, თუ რა ტიპის პროგრამები თუ პოლიტიკა შეიძლება იყოს განხორციელებადი. რადგან შეფასების მიზანია იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელსაც პროგრამის დაგეგმვა დაეყრდნობა, ის არ უნდა ჩატარდეს „ფორმალურად“, გარე ორგანიზაციის მიერ, არამედ შეიძლება, მაგალითად, შედგებოდეს არაფორმალური მსჯელობისგან პერსონალის წევრებს შორის, რესურსების თვალსაზრისით ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად.

ამ ეტაპის ჩატარება დასაშვებია საჭიროებების შეფასების თანადროულად, ან პროექტის დასაწყისში, საჭიროებათა შეფასებამდე.

2 . რესურსების შეფასება

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
2.1 სამიზნე პოპულაციისა და თემის რესურსების შეფასება: განხილულია პროგრამის შემაფერხებელი და ხელშემწყობი წყაროები, ასევე, ხელშეწყობის დონის გაზრდის გზები. შეფასებულია სამიზნე პოპულაციისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა.	☐	☐	☐	☐		
2.2 შიდა შესაძლებლობების შეფასება: შეფასდა შიდა რესურსები და შესაძლებლობები (მაგ. ადამიანური, ტექნოლოგიური, ფინანსური რესურსები). შეფასება ითვალისწინებს როგორც მათ ამჟამინდელ ხელმისაწვდომობას პროგრამისთვის, ასევე სამომავლოდ მათი ხელმისაწვდომობის ალბათობას.	☐	☐	☐	☐		

გთხოვთ, თვითრეფლექსიის ჩატარებისას გაეცნოთ საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების სრულ სიას EMCDDA-ს სახელმძღვანელოში. იხ.: http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards

პროექტის ეტაპი 3: პროგრამის ჩამოყალიბება

პროგრამის ჩამოყალიბება მოხაზავს შინაარსსა და სტრუქტურას და იძლევა აუცილებელ საფუძველს გამიზნული, დეტალური, მწყობრი და რეალისტური დაგეგმვისთვის. სამიზნე პოპულაციის საჭიროებებისა და რესურსების შეფასებაზე დაყრდნობით, ჩარევისა თუ პოლიტიკის ცენტრალური ელემენტები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. ამ სტანდარტების მიზანია, უბიძგოს ცვლილებას პროფესიულ კულტურაში ნარკოტიკების მოხმარების პრევენციასთან უფრო სისტემური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის ჩამოყალიბებისკენ.

3.1 სამიზნე პოპულაციის განსაზღვრა: სამიზნე პოპულაციის განსაზღვრა: სამიზნე პოპულაციის კარგი განსაზღვრა უზრუნველყოფს, რომ ჩარევა სწორი ადამიანებისთვის იქნება განკუთვნილი. სამიზნე პოპულაციას შესაძლოა შეადგენდნენ პიროვნებები, ჯგუფები, ოჯახები, ორგანიზაციები, თემები, გარემოები და/ან სხვა ერთეულები, იმ პირობით, რომ ისინი იდენტიფიცირებადი და მკაფიოდ განსაზღვრულია. ზოგი პროგრამისთვის შესაძლოა საჭირო იყოს ძირითადი სამიზნე პოპულაციის გამორჩევა (მაგ. ნარკოტიკების მოხმარების რისკის წინაშე მდგარი ახალგაზრდები) შუალობითი სამიზნე პოპულაციისგან (მაგ. ამ ახალგაზრდების მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები). განსაზღვრა უნდა იყოს კონკრეტული და პროგრამის მასშტაბების შესაბამისი. მაგალითად, მნიშვნელოვანია გათვალისწინება, შესაძლებელია თუ არა სამიზნე პოპულაციის წვდომა კონკრეტული პროგრამის მოცემულობით.

3.2 თეორიული მოდელის გამოყენება: თეორიული მოდელი – ესაა ურთიერთდაკავშირებული დებულებების კრებული, რომელიც განმარტავს, ესა თუ ის ჩარევა რატომ ან რა გზით მოგვცემს შედეგებს სამიზნე პოპულაციაში. პროგრამის კონკრეტული კონტექსტის შესაფერისი თეორიული მოდელის გამოყენება ზრდის შესაძლებლობას, რომ ჩარევამ წარმატებით მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ის გვეხმარება, გამოვავლინოთ ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ქცევების შესაბამისი მედიატორები (მაგ. განზრახვები და შეხედულებები, რომლებიც გავლენას ახდენს ნივთიერებების მოხმარებაზე) და განვსაზღვროთ მიღწევადი მიზნები. ყველა ჩარევა უნდა ეფუძნებოდეს მყარ თეორიულ მოდელებს, მით უფრო, თუ ისინი ახლად შემუშავებულია.

3.3 მიზნების, განზრახვებისა და ამოცანების განსაზღვრა: მკაფიო მიზნების, განზრახვებისა და ამოცანების ქონის გარეშე არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ პრევენციის სამუშაო თვითმიზნურად და არა სამიზნე პოპულაციის სარგოდ ჩატარდეს. სტანდარტები იყენებს ურთიერთდაკავშირებული მიზნების, განზრახვებისა და ამოცანების სამდონიან სტრუქტურას. მიზნები აღწერს ჩარევების გრძელვადიან მიმართულებას, ზოგად იდეას, დანიშნულებას ან განზრახვას. ისინი შესაძლოა იქნეს არ არ იქნეს მიღწეული კონკრეტული ჩარევის ფარგლებში, მაგრამ იძლევა საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებას. განზრახვა არის მკაფიო განაცხადი, თუ რა შედეგი ექნება ჩარევას მონაწილეთათვის (ქცევის შეცვლის თვალსაზრისით) ჩარევის დასრულებისას. ამოცანები აღწერს მონაწილეებში უახლოეს ან შუალედურ ქცევის ცვლილებას, რომელიც აუცილებელია საბოლოო დანიშნულების მისაღწევად. ბოლოს, ოპერატიული ამოცანები აღწერს აქტივობებს, რომლებიც აუცილებელია განზრახვებისა და ამოცანების მისაღწევად.

სახელმძღვანელოს ინგლისური გამოცემის 120-ე გვერდზე მოცემულია სურათი, რომელიც გვიჩვენებს ურთიერთკავშირს მიზნებს, განზრახვებსა და ამოცანებს შორის და გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კონკრეტულ ამოცანებსა (რომლებიც ფოკუსირებულია ქცევის ცვლილებაზე) და ოპერატიულ ამოცანებს (აქტივობებზე ფოკუსირებულ) შორის არსებულ განსხვავებებზე.

3.4 გარემოს განსაზღვრა: გარემო არის სოციალური თუ ფიზიკური მოცემულობა, რომელშიც ჩარევა ხორციელდება: ოჯახი, სკოლა, სამსახური, ღამის კლუბი თუ თემი. საჭიროებების შეფასებამ შესაძლოა აჩვენოს, რომ რელევანტურია ერთი ან მეტი გარემო; თუმცა, ჩარევის გარემოს შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკული მოსაზრებებიც (მაგ. იოლად მისაწვდომობა, აუცილებელი თანამშრომლობები). გარემოს მკაფიო განსაზღვრა აუცილებელია, რათა სხვებმა შეძლონ გაგება, სად და როგორ იყო მიწოდებული ჩარევა.

3.5 ეფექტიანობის მტკიცებულების შეჯერება: ნივთიერებების მოხმარების პრევენციის სამუშაოების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, გვესმოდეს და გამოვიყენოთ არსებული ცოდნა იმის შესახებ, თუ
„რა მუშაობს“. შესწავლილი უნდა იქნეს არსებული მეცნიერული მტკიცებულები ეფექტიანი ჩარევის გარშემო და გამოიკვეთოს დაგეგმილი ჩარევისა თუ პოლიტიკის შესაბამისი მონაცემები. მეცნიერული მტკიცებულება უნდა გაერთიანდეს შემსრულებელთა პროფესიულ გამოცდილებასთან და ამგვარად დაიგეგმოს ჩარევა, რომელიც კონკრეტული ჩარევის კონტექსტის შესაბამისია. იქ, სადაც ეფექტიანობის მეცნიერული მტკიცებულება არ მოგვეპოვება, მის ნაცვლად შეიძლება აღიწეროს პროფესიული გამოცდილება და დაინტერესებული მხარეების კომპეტენცია. მაგრამ აუცილებლად და ყურადღებით უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ცოდნის ეს ფორმები, საიმედო კვლევით მიღებულ მტკიცებულებებთან შედარებით, არასრულყოფილია (მაგ. განზოგადებადობის თვალსაზრისით).

3.6 დროის გრაფიკის განსაზღვრა: პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია რეალისტური დროის გრაფიკის ქონა, რათა პერსონალის წევრებს შეეძლოთ თავიანთი საქმიანობის მიზანზე მიმართვა და კოორდინირება. მასში ნაჩვენებია დაგეგმილ აქტივობათა განრიგი და შესაბამისი საბოლოო ვადები. დროის გრაფიკი შესაძლოა განახლდეს ჩარევის განხორციელების განმავლობაში, რათა ასახავდეს მის რეალურ განვითარებას.

3. პროგრამის ჩამოყალიბება

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
3.1 სამიზნე პოპულაციის განსაზღვრა: აღწერილია პროგრამის სამიზნე პოპულაცია (პოპულაციები). არჩეული სამიზნე პოპულაცი(ებ)ის წვდომა შესაძლებელია.	☐	☐	☐	☐		
3.2 თეორიული მოდელის გამოყენება: პროგრამა ემყარება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ თეორიულ მოდელს, რომელიც იძლევა ნარკოტიკების მოხმარების პრობლემასთან დაკავშირებული კონკრეტული საჭიროებების გაგების საშუალებას და გვიჩვენებს, როგორ შეიძლება შეიცვალოს სამიზნე პოპულაციის ქცევა.	☐	☐	☐	☐		
3.3 მიზნების, განზრახვებისა და ამოცანების განსაზღვრა: ნათელია, რისი პრევენცია ხდება (მაგ. ნარკოტიკების რა ტიპის მოხმარების)? პროგრამის მიზნები, განზრახვები და ამოცანები მკაფიო, ლოგიკურად შეკრული და დადგენილი საჭიროებებით განპირობებულია. ეთიკურია და სამიზნე პოპულაციისთვის სასარგებლოა.	☐	☐	☐	☐		

გთხოვთ, თვითრეფლექსიის ჩატარებისას გაეცნოთ საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების სრულ სიას EMCDDA-ს სახელმძღვანელოში. იხ.: **http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards**

განზრახვები და ამოცანები კონკრეტული და რეალისტურია.				

3. პროგრამის ჩამოყალიბება (გაგრძ.)

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
3.4 გარემოს განსაზღვრა: აქტივობების გარემო(ები) აღწერილია. ის(ინი) შეესაბამება მიზნებს, განზრახვებსა და ამოცანებს, ხელმისაწვდომ რესურსებს და, სავარაუდოდ, მოიტანს სასურველ ცვლილებას. განსაზღვრულიარიან პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანამშრომლები ამ გარემოში.	☐	☐	☐	☐		
3.5 ეფექტიანობის მტკიცებულების შეჯერება: გაცნობილი ვართ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას და/ან მნიშვნელოვან პუბლიკაციებს პროგრამასთან დაკავშირებულ თემებზე. განხილული ინფორმაცია ხარისხიანი და პროგრამის რელევანტურია. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულია პროგრამის შედგენაში.	☐	☐	☐	☐		

გთხოვთ, თვითრეფლექსიის ჩატარებისას გაეცნოთ საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების სრულ სიას EMCDDA-ს სახელმძღვანელოში. იხ.: **http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards**

3.6 დროის გრაფიკის განსაზღვრა: პროგრამის დროის გრაფიკი რეალისტურია და მკაფიოდ, თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი. აქტივობების დრო, ხანგრძლივობა და სიხშირე პროგრამის შესაბამისია.	☐ ☐ ☐	☐		

პროექტის ეტაპი 4: ჩარევის დაგეგმვა

ჩარევის შინაარსი, როგორც წესი, განიხილება გზამკვლევებში და არა ხარისხის სტანდარტებში, რადგან ის შეეხება სამიზნე პოპულაციის საჭიროებებს, პროგრამის მიზნებს, ა.შ. თუმცა, არის რამდენიმე ფორმალური ასპექტი, რომელთა განზოგადებაც შეიძლება. ეს სტანდარტები გვეხმარება როგორც ახალი ჩარევის შემუშავებაში, ასევე არსებული ჩარევის შერჩევასა და მორგებაში; ამის გარდა, გვიბიძგებს, შეფასების მოთხოვნები ჩარევის დაგეგმვის ნაწილად იყოს განხილული.

4.1 დაგეგმვა ხარისხის და ეფექტიანობის უზრუნველყოფით: მას მერე, რაც ჩარევის ძირითადი საყრდენი მოიხაზება, კონკრეტდება მისი დეტალები. ისეთი მტკიცებულებებზე დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მონაწილეთათვის მიმზიდველი, საინტერესო და ღირებული იქნება, დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის მნიშვნელოვანი მხარეა. სადაც კი შესაძლებელია, ჩარევა ლოგიკური აქტივობების მიმდევრობას უნდა წარმოადგენდეს, რომლების მონაწილის განვითარების შესაბამისი იქნება. . ადრე განხორციელებულ ჩარევებსა თუ პოლიტიკაზე სხვადასხვა წყაროს მოძიება და მათი გათვალისწინება დაგვეხმარება, თავი ავარიდოთ ისეთი აქტივობების ჩატარებას, რომლებიც უკვე დადასტურებულად არაეფექტიანი ან იატროგენური ეფექტის მქონეა.

> გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ (UNODC) გამოაქვეყნა „ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტები“. სტანდარტები აღწერს ჩარევებსა და პოლიტიკას, რომლებიც იძლევა დადასტურებულად კარგ შედეგებს ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის მხრივ ბავშვებში, მოზარდებსა და ზრდასრულებში. დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://www.unodc.org/unodc/en/prevention/prevention-standards.html

4.2 თუ ირჩევთ არსებული ჩარევებიდან: ახალი ჩარევის შემუშავებამდე უნდა განვიხილოთ, ხომ არ არის შესაძლებელი, უკვე არსებობდეს შესაფერისი ჩარევა, ან პრაქტიკაში, ან სახელმძღვანელოს ფორმით. არსებული ჩარევის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის – რამდენად შეესაბამება ის პროგრამის კონკრეტულ ამოცანას და (თუ პროგრამები უფასო არაა) რამდენად მისაწვდომია მისი ღირებულება. ადაპტაცია შედგება თავდაპირველ ჩარევაში მის განხორციელებამდე შეტანილი საგულდაგულო წინასწარგანზრახული და დაგეგმილი ცვლილებებისგან, რომელთა შედეგადაც ჩარევა პროგრამის კერძო სიტუაციისა და ამოცანის (მაგ. სამიზნე პოპულაციის საჭიროებების) შესაბამისი იქნება და შენარჩუნდება ან გაიზრდება ჩარევის ეფექტიანობა.

4.3 ჩარევის მორგება სამიზნე პოპულაციაზე: იმის მიუხედავად, ახალ ჩარევას შევიმუშავებთ თუ უკვე არსებული ჩარევის ადაპტაციას განვიზრახავთ, ჩარევა უნდა მოერგოს სამიზნე პოპულაციას, საჭიროებების შეფასების შედეგების შესაბამისად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პერსონალის ისეთი კომპეტენცია, როგორიცაა კულტურული მგრძნობელობა, ანუ პერსონალის წევრების მზადყოფნა და უნარი, გაიგონ (სხვადასხვა ტიპის) კულტურის მნიშვნელობა, აფასებდნენ კულტურულ მრავალფეროვნებას, ეფექტიანად გაუმკლავდნენ კულტურით განპირობებულ საჭიროებებს და კულტურული მხარე გაითვალისწინონ პრევენციული მუშაობის ყველა ასპექტში. თუ უკვე არსებული ჩარევა გამოიყენება, მორგება შეიძლება ჩატარდეს, როგორც ადაპტაციის პროცესის ნაწილი. ამას გარდა, ჩარევის გეგმაში უნდა ჩაიდოს მოქნილობა, რომლებიც პრაქტიკოსებს შესაძლებლობას მისცემს, ჩარევა განხორციელების პროცესშივე მოარგონ ისე, რომ თავდაპირველი გეგმიდან გადახვევა არ დასჭირდეთ.

4.4 თუ საბოლოო შეფასებას გეგმავთ: ასევე, ამ ეტაპზე უნდა დაიგეგმოს მონიტორინგი და პროცესისა და შედეგის საბოლოო შეფასება. შედეგის შეფასება არის საშუალება, დადგინდეს, შესრულდა თუ არა განზრახვები და ამოცანები, მაშინ, როდესაც პროცესის შეფასება არის საშუალება, გავიგოთ, როგორ იქნა ისინი მიღწეული ან რატომ ვერ იქნა მიღწეული. შემფასებელთა გუნდმა უნდა გადაწყვიტოს, რა ტიპის შეფასება იქნება შესაფერისი მოცემული პროგრამისთვის, და განზრახვებისა და ამოცანების შესაბამისად განსაზღვროს შეფასების ინდიკატორები. უნდა განიმარტოს, რა მონაცემები შეგროვდება და რა გზით შეგროვდება (მაგ. დროის გრაფიკისა და

მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების დაზუსტება). შედეგების შეფასების დაგეგმვისას უნდა განისაზღვროს კვლევის სქემა. ამ ეტაპზე შეფასების გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და საბოლოო შეფასებისთვის საჭირო მონაცემები დამაკმაყოფილებელი ფორმით იქნება ხელმისაწვდომი, როდესაც ამის საჭიროება დადგება.

სახელმძღვანელოში მოცემულია დამატებითი დეტალები პროცესისა და შედეგის შეფასებების შესახებ, მონაცემთა მოგროვების საკითხის განხილვა და რჩევები, როგორ მოვახდინოთ შეფასების ინდიკატორებისა და სტანდარტების ჩამოყალიბება დადგენილი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. იხ. აგრეთვე სტანდარტები განყოფილებაში „პროექტის ეტაპი 7: საბოლოო შეფასებები“.

ამ ეტაპის ჩატარება დასაშვებია რესურსების მართვისა და მობილიზების თანადროულად.

4. ჩარევის დაგეგმვა

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
4.1 დაგეგმვა ხარისხის და ეფექტიანობის უზრუნველყოფით: ჩარევა მიჰყვება მტკიცებულებებზე დაფუძნებული კარგი პრაქტიკის რეკომენდაციებს: მეცნიერული მიდგომა გამოკვეთილია. პროგრამა ემყარება მონაწილეებთან დადებით ურთიერთობებს – ითვალისწინებს მათ გამოცდილებებს და პატივს სცემს მრავალფეროვნებას. განსაზღვრულია პროგრამის დასრულება.	☐	☐	☐	☐		
4.2 თუ ირჩევთ არსებული ჩარევებიდან: გათვალისწინებულია არსებული ჩარევების ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე, ბალანსი ადაპტირებას, სიზუსტესა და განხორციელებადობას შორის. შეფასებულია, ჩარევა რამდენად არის მორგებული ადგილობრივ ვითარებას. არჩეული ჩარევა გულდასმით არის ადაპტირებული და შეტანილი ცვლილებები მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ჩარევის ავტორები სათანადოდ არიან მოხსენიებული.	☐	☐	☐	☐		

გთხოვთ, თვითრეფლექსიის ჩატარებისას გაეცნოთ საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების სრულ სიას EMCDDA-ს სახელმძღვანელოში. იხ.: **http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards**

4. ჩარევის დაგეგმვა (გაგრძ.)

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
4.3 ჩარევის მორგება სამიზნე პოპულაციაზე: პროგრამა მიესადაგება მისი ჩატარების კონკრეტულ გარემოებებს (მაგ. სამიზნე პოპულაციის მახასიათებლებს) და, თუ საჭიროა, ხდება მისი მორგება. მორგების ასპექტებში შედის: ენა, აქტივობები, გზავნილები, დროის განრიგი, მონაწილეთა რაოდენობა.	☐	☐	☐	☐		
4.4 თუ საბოლოო შეფასებას გეგმავთ: შეფასება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილად არის მიჩნეული. დადგენილია, შეფასების რა სახე არის ამ ჩარევისთვის ყველაზე შესაფერისი, და დაგეგმილია შესრულებადი და გამოსადეგი შეფასება. განსაზღვრულია შესაბამისი შეფასების ინდიკატორები და აღწერილია მონაცემთა შეგროვების პროცესი.	☐	☐	☐	☐		

გთხოვთ, თვითრეფლექსიის ჩატარებისას გაეცნოთ საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების სრულ სიას EMCDDA-ს სახელმძღვანელოში. იხ.: **http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards**

პროექტის ეტაპი 5: რესურსების მართვა და მობილიზება

პრევენციული პროგრამას თუ პოლიტიკას არ შეადგენს მხოლოდ უშუალოდ ჩარევა – მისი განხორციელებადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პროექტის კარგი მართვა და დეტალური დაგეგმვა. ჩარევის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მართვითი, საორგანიზაციო და პრაქტიკული მხარეები. განხორციელების დასაწყებად უნდა ავამოქმედოთ არსებული და საჭიროებისამებრ მოვიზიდოთ ახალი რესურსები. პროექტის მართვის ცნობარები იძლევა სიღრმისეულ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა დავგეგმოთ და ვმართოთ პროექტები. თუმცა, სტანდარტები, ასევე, „პროექტის ეტაპი 3: პროგრამის ჩამოყალიბება“, გამოკვეთს ზოგ ძირითად მოსაზრებას ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის საქმიანობასთან დაკავშირებით.

5.1 პროგრამის დაგეგმვა – პროექტის გეგმის განმარტება: სპეციალური პროცედურა დაგვეხმარება უზრუნველვყოთ, რომ დაგეგმვა და განხორციელება სისტემურად მიმდინარეობდეს. პროექტის წერილობითი გეგმა დოკუმენტურად ასახავს ყველა სამუშაოსა და პროცედურას, რომლებიც ჩარევის წარმატებით ჩასატარებლად არის საჭირო. პროექტის გეგმა წარმართავს განხორციელებას: აღჭურავს მას საერთო ჩარჩოთი, რომლის მიმართულებითაც პერსონალის ყველა წევრს შეუძლია, იმუშაოს. პროექტის შემდგომ ეტაპებზე საჭიროა შეჯერება პროექტის გეგმასთან, რათა შეფასდეს, ჩარევა თუ პოლიტიკა თუ ხორციელდება ისე, როგორც განზრახული იყო, და რაიმე სახის მორგება ხომ არ არის საჭირო.

> პროექტის გეგმა ასევე უნდა წარმოაჩენდეს და აერთიანებდეს პროგრამის ძირითად კომპონენტებს, როგორიცაა სამიზნე პოპულაციის საჭიროებები, განზრახვები და ამოცანები, თეორიული მოდელი, შეფასების ინდიკატორები და ათვლის წერტილები, აქტივობები და მიღებული შედეგები. ეს შეიძლება გაკეთდეს ლოგიკური მოდელის გამოყენებით. EMCDDA-ს „პრევენციისა და შეფასების რესურსების ნაკრები“ (PERK) მოიცავს მრავალ მაგალითს, როგორ უნდა აიგოს და გამოყენებული იქნეს ლოგიკური მოდელები. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.emcdda.europa.eu/publications/perk

5.2 ფინანსური მოთხოვნების დაგეგმვა: უნდა განისაზღვროს ჩარევის ფინანსური საჭიროებები (ფასები) და შესაძლებლობები (ბიუჯეტი), რათა აუცილებელი და ხელმისაწვდომი რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს. თუ ხელმისაწვდომზე მეტი რესურსია საჭირო, ფინანსური გეგმა განმარტავს, რა დამატებითი დაფინანსება შეიძლება გახდეს აუცილებელი ან როგორ შეიძლება გახდეს საჭირო პროექტის გეგმის შეცვლა.

5.3 გუნდის შეკვრა: გუნდი შედგება მოცემულ პროექტზე მომუშავე ადამიანებისგან (მმართველები, ჩამტარებლები, შემფასებლები). პერსონალის წევრები (მოხალისეთა ჩათვლით) სამართლებრივი მოთხოვნების და პროგრამის საჭიროებების შესაბამისად უნდა შეირჩეს. როლები და პასუხისმგებლობა სათანადოდ უნდა გადანაწილდეს და უზრუნველიყოს, რომ ყველა საჭირო საქმე ყველაზე შესაფერის პირებს (ანუ, შესაბამისი კვალიფიკაციისა და/ან ცოდნის მქონეებს) დაეკისროს და შესრულდეს. ეს კომპონენტი უნდა განიხილებოდეს კომპონენტ გ-სთან (პერსონალის განვითარება) ერთობლიობაში.

5.4 მონაწილეთა მოძიება და შენარჩუნება: „მოძიება“ ნიშნავს სამიზნე პოპულაციიდან შესაფერისი პირების შერჩევას, მათთვის ჩარევის გაცნობას, მონაწილეობის მისაღებად მოპატიჟებას, მათ სიაში შეყვანას და უზრუნველყოფას, რომ დაიწყონ ჩარევაში მონაწილეობა (მაგ. დაესწრონ პირველ სესიას). მონაწილეები აყვანილი უნდა იქნენ განსაზღვრული სამიზნე პოპულაციიდან და ეს უნდა მოხდეს მეთოდოლოგიურად სწორი და ეთიკური ხერხით. „შენარჩუნება“ გულისხმობს უზრუნველყოფას, რომ ყველა მონაწილე დარჩეს ჩარევაში ჩართული, სანამ ის არ დასრულდება და/ან მიზნები არ იქნება მიღწეული (ამათგან რომელიც უფრო მართებული იქნება). ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ პროგრამებს, რომლებშიც მონაწილეების დიდი ხნის განმავლობაში ჩართვა არის საჭირო. უნდა განისაზღვროს, რა უქმნის მონაწილეებს დაბრკოლებას და ასეთი

დაბრკოლებები მოიხსნას, რათა მონაწილემ შეძლოს პროგრამაში მონაწილეობის მიღება და მისი დასრულება.

5.5 პროგრამის მასალების მომზადება: გათვალისწინებული უნდა იყოს მასალები, რომლებიც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად, მათ შორის – ჩარევის მასალები (სათანადო შემთხვევაში), მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, ტექნიკური აღჭურვილობა და ფიზიკური გარემო (მატერიალურ-ტექნიკური მხარე). ეს გუნდს აძლევს შესაძლებლობას, დასრულებული სახე მისცენ ფინანსურ გეგმას და პროგრამის აუცილებელი მასალებით მოსამარაგებლად საჭირო ნაბიჯები გადადგან. თუ გამოიყენება ჩარევის მასალები (მაგ. სახელმძღვანელოები, ფილმები, ვებგვერდები), ისინი უნდა იყოს ხარისხიანი და შესაფერისი იმ მომხმარებლებისთვის, რომელთათვისაც არის განკუთვნილი.

5.6 პროგრამის აღწერის წარდგენა: წერილობითი აღწერა იძლევა პროგრამაზე მკაფიო ზოგად წარმოდგენას. ის იქმნება ისე, რომ დაინტერესებულ მხარეებს (როგორიცაა სამიზნე პოპულაცია, დამფინანსებლები, სხვა დაინტერესებული პროფესიონალები) შეეძლოთ ინფორმაციის მოპოვება ჩარევისა თუ პოლიტიკის წამოწყებამდე ან მისი განხორციელების განმავლობაში. თუ ეს აღწერა გამოიყენება მონაწილეთა მოსაძიებლად, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რა პოტენციური რისკები და სარგებელი ელის მათ. პროექტის აღწერა განსხვავდება პროექტის გეგმისგან (რაც ჩარევის განხორციელების შიდა იარაღია) და საბოლოო ანგარიშისგან (რომელიც ჩარევას თუ პოლიტიკას მისი დასრულების მერე აჯამებს).

ამ ეტაპის ჩატარება დასაშვებია ჩარევის დაგეგმვის თანადროულად.

5. რესურსების მართვა და მობილიზება

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
5.1 პროგრამის დაგეგმვა – პროექტის გეგმის განმარტება: გამოყოფილია დრო პროგრამის სისტემური დაგეგმვისთვის. პროექტის წერილობით გეგმაში გამოკვეთილია პროგრამის მთავარი ელემენტები და პროცედურები. შემუშავებულია გაუთვალისწინებელ გარემოებებში მოქმედების გეგმები.	☐	☐	☐	☐		
5.2 ფინანსური მოთხოვნების დაგეგმვა: მოცემულია პროგრამის მკაფიო და რეალისტური ხარჯთაღრიცხვა. დადგენილია ხელმისაწვდომი ბიუჯეტი და ის პროგრამის შესატყვისია. ხარჯები და ხელმისაწვდომი ბიუჯეტი შესაბამისობაშია. ფინანსური მართვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.	☐	☐	☐	☐		
5.3 გუნდის შეკვრა: განსაზღვრულია და (სავარაუდოდ) ხელმისაწვდომია წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო პერსონალი (მოვალეობათა ტიპი, პერსონალის რაოდენობა). გუნდის სტრუქტურა პროგრამის სათანადოა. განსაზღვრულია პერსონალის შერჩევისა და მართვის პროცედურები.	☐	☐	☐	☐		

5. რესურსების მართვა და მობილიზება (გაგრძ.)

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
5.4 მონაწილეთა მოძიება და შენარჩუნება: დადგენილია, სამიზნე პოპულაციიდან როგორ ხდება მონაწილეთა მოზიდვა და რა მექანიზმები გამოიყენება მათ დასაყოლიებლად. მიღებულია კონკრეტული ზომები შეკრებილთა რაოდენობის და მათი შენარჩუნების მაჩვენებლის მაქსიმალურად გასაზრდელად.	☐	☐	☐	☐		
5.5 პროგრამის მასალების მომზადება: დადგენილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. ჩარევის მასალების გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სახელმძღვანელოების) უზრუნველყოფილია, რომ მათში გადმოცემული ინფორმაცია ფაქტობრივად სწორი და ხარისხიანია.	☐	☐	☐	☐		
5.6 პროგრამის აღწერის წარდგენა: არსებობს პროგრამის მკაფიო, წერილობითი აღწერა და მისაღებია (ნაწილობრივ მაინც) შესაბამისი ჯგუფებისთვის (მაგ. მონაწილეთათვის). მასში მოხაზულია პროგრამის ძირითადი ელემენტები, განსაკუთრებით, მისი სავარაუდო გავლენა მონაწილეებზე.	☐	☐	☐	☐		

პროექტის ეტაპი **6:** მიწოდება და მონიტორინგი

ამ ეტაპზე ადრე შემუშავებული გეგმები პრაქტიკულად ხორციელდება. ამ მომენტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია, შენარჩუნებული იყოს ბალანსი სიზუსტესა (პროექტის გეგმის ზუსტად მიყოლა) და მოქნილობას (ანუ, ახლად გამოვლენილ ვითარებებსა და მიგნებებს) შორის. დასახელებული კომპონენტები მოხაზავს, როგორ არის შესაძლებელი ამ ბალანსის მიღწევა განხორციელების ხარისხისა და მიმდინარეობის კრიტიკული შეფასებითა და პროგრამაში მისი გასაუმჯობესებელი კონტროლირებული ცვლილებების შეტანით.

6.1 თუ საპილოტე ჩარევას ატარებთ: კონკრეტულ შემთხვევებში, მაგალითად, მაშინ, თუ ჩარევა ახლად შემუშავებულია ან თუ საჭიროა მისი მასშტაბების შეცვლა ადგილობრივიდან ეროვნულ დონემდე, ის ჯერ უნდა გამოიცადოს უფრო მცირე მასშტაბით განხორციელებით. ეს დაგვეხმარება იმ პოტენციური პრაქტიკული სიძნელეებისა და სხვა სუსტი მხარეების გამოვლენაში, რომლებიც არ გამოჩნდა დაგეგმვის ეტაპზე და რომლების მოგვარებაც, შესაძლოა, ძალიან ძვირი დაჯდეს მას მერე, რაც განხორციელებაზე მუშაობა უკვე სრულად იქნება ძალაში შესული. საპილოტე ჩარევა (ან საპილოტე კვლევა) არის ჩარევის მცირემასშტაბიანი გამოცდა მისი სრული განხორციელების დაწყებამდე (მაგ. ნაკლები მონაწილით ან მხოლოდ ერთ ან ორ ადგილას). საპილოტე ჩარევისას გროვდება პროცესისა და (შეზღუდული) შედეგების მონაცემები და გამოიყენება მცირემასშტაბიანი შეფასებისთვის. საპილოტე პროექტის შედეგებზე დაყრდნობით, ჩარევის შემმუშავებლებს შეუძლიათ, ჩარევის საბოლოო განხორციელებამდე მასში შეიტანონ ბოლო და არაძვირი ცვლილებები.

6.2 პროგრამის განხორციელება: მას შემდეგ, რაც მოგროვდება საკმარისი მტკიცებულება, რომ დაგეგმილი პრევენციული ჩარევა ეფექტიანი, განხორციელებადი და ეთიკური იქნება, ჩარევა ხორციელდება პროექტის გეგმის მიხედვით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პროექტის გეგმას ხისტად უნდა მივდიოთ, თუ ცვლილების აუცილებლობა თვალსაჩინო იქნება. შემდგომი შეფასებისა და ანგარიშგების გასაადვილებლად საჭიროა ჩარევის დეტალური დოკუმენტირება, რაც გაუთვალისწინებელი მოვლენების, გადახვევებისა და ხელმოცარვის აღწერასაც გულისხმობს.

6.3 განხორციელების მონიტორინგი: ჩარევის მიმდინარეობისას გროვდება და პერიოდულად გაანალიზდება შედეგისა და პროცესის მონაცემები, მაგალითად, მონაწილეებისთვის ჩარევის რელევანტურობის, პროექტის გეგმის ზუსტად მიყოლისა თუ ეფექტიანობის თვალსაზრისით. ტარდება ჩარევის რეალური განხორციელებისა და სხვა ასპექტების შედარება პროექტის გეგმაში დასახულ დეტალებთან. მონიტორინგი, მაგ. ჩარევის მიმდინარეობის რეგულარული მიმოხილვა ასევე გვეხმარება განვსაზღვროთ, არის თუ არა თავდაპირველი გეგმის შეცვლის საჭიროება. მონიტორინგი უზრუნველყოფს, რომ განხორციელება იქნება ხარისხიანი, აგრეთვე, მომწოდებლებს აძლევს შესაძლებლობას, გააუმჯობესონ პრევენციის პრაქტიკა იმით, რომ გამოავლინონ შეცვლილი ან დამატებითი მოთხოვნები და ირეაგირონ მათზე, სანამ მათ გამო პროგრამის წარმატებას საფრთხე შეექმნებოდეს.

6.4 განხორციელების მორგება: საჭიროა, განხორციელების პროცესი მოქნილი დარჩეს, რათა შეეძლოს გაჩენილ პრობლემებზე, შეცვლილ პრიორიტეტებზე და ა.შ. მორგება. როცა ეს აუცილებელი და შესაძლებელია, პროგრამის განხორციელება მორგებული უნდა იქნეს მონიტორინგის მონაცემების შესაბამისად. თუმცა, ცვლილებები უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და უნდა გავითვალისწინოთ მათი პოტენციური ნეგატიური გავლენა პროგრამაზე. შესაბამისად, თუ მოსარგებად საჭირო ცვლილებები გაკეთდება, ისინი დოკუმენტურად უნდა გაფორმდეს და შეფასდეს, რათა გავიგოთ, რა ზეგავლენა ჰქონდათ მათ მონაწილეებსა და პროგრამის წარმატებაზე.

6. მიწოდება და მონიტორინგი

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
6.1 თუ საპილოტე ჩარევას ატარებთ: საჭიროების შემთხვევაში ტარდება საპილოტე ჩარევა. მაგალითად, ის რეკომენდებულია ახალი ან ძლიერ ადაპტირებული ჩარევისას, ან თუ პროგრამები ფართო გავრცელებისთვისაა გამიზნული. საპილოტე შეფასების შედეგები გამოიყენება ჩარევის ჯეროვანი განხორციელების ფორმირებისა და გაუმჯობესებისთვის.	☐	☐	☐	☐		
6.2 პროგრამის განხორციელება: პროგრამა ხორციელდება პროექტის წერილობითი გეგმის მიხედვით. განხორციელება სათანადოდ დოკუმენტირებულია, მათ შორის, აღნიშნულია ყველა ხელმოცარვა და თავდაპირველი გეგმიდან გადახვევა.	☐	☐	☐	☐		

6. მიწოდება და მონიტორინგი (გაგრძ.)

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
6.3 განხორციელების მონიტორინგი: მონიტორინგი განხორციელების ფაზის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. განხორციელების განმავლობაში სისტემატურად გროვდება და განიხილება შედეგისა და პროცესის შეფასების მონაცემები. ასევე, განიხილება პროექტის გეგმა, რესურსები და სხვა. მონიტორინგის დანიშნულებაა, გამოარკვიოს, იქნება თუ არა პროგრამა წარმატებული და გამოკვეთოს, თუ არის ამა თუ იმ სახის მორგების საჭიროება.	☐	☐	☐	☐		
6.4 განხორციელების მორგება: მოქნილობა დასაშვებია, თუკი პროგრამის წარმატებით განხორციელება ამას მოითხოვს. განხორციელების მორგება ხდება მონიტორინგის შედეგების თანახმად, როცა კი ეს შესაძლებელია. სადავო საკითხები და პრობლემები გადაიჭრება ისე, როგორც ეს პროგრამისთვის იქნება სათანადო. მორგების ღონისძიებები არის კარგად დასაბუთებული და მიზეზები, რამაც მორგება გახადა საჭირო, დოკუმენტურად არის გაფორმებული.	☐	☐	☐	☐		

პროექტის ეტაპი 7: საბოლოო შეფასებები

ჩარევის დასრულების შემდეგ, საბოლოო შეფასება ადგენს მის შედეგებსა და/ან ინტერვენციის მიწოდების, პროგრამის დანერგვის პროცესს. მოკლედ რომ განვმარტოთ, შედეგების შეფასება აქცენტს აკეთებს ქცევის შეცვლაზე მონაწილეებში (მაგ. ნივთიერებების მოხმარების შემცირება), ხოლო პროცესის შეფასება ფოკუსირებულია აქტივობის შედეგებზე (outputs) (მაგ. ჩატარებული სესიების რაოდენობა, რა რაოდენობის მონაწილეებს დაუკავშირდა პროგრამა). პროექტის ამ ეტაპის სტანდარტები განხილული უნდა იყოს 4.4. კომპონენტთან (თუ საბოლოო შეფასებებს გეგმავთ) კავშირში, რომელშიც ასევე ხაზგასმულია, რა მოსამზადებელი სამუშაოებია საჭირო იმისათვის, რომ განხორციელების განმავლობაში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი მონაცემების შეგროვება.

ჩარევის დასრულების შემდეგ, საბოლოო შეფასება ადგენს მის შედეგებსა და/ან ინტერვენციის მიწოდების, პროგრამის დანერგვის პროცესს.

კომპონენტში „4.4: თუ საბოლოო შეფასებებს გეგმავთ“ სახელმძღვანელოში მოცემულია მოკლე შესავალი პროცესისა და შედეგის შეფასებაში, ისე, როგორც ეს სტანდარტებშია წარმოდგენილი, და გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს კონკრეტული მიზნები, განზრახვები და ამოცანები და იქცეს შეფასების ინდიკატორებათა და ამოსავალ ორიენტირებად.

EMCDDA-ს ასევე გამოქვეყნებული აქვს „სახელმძღვანელო პრინციპები ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის შეფასებისთვის“ (განახლებულია 2012წ), რომელშიც შესულია გამოსადეგი მაგალითები, თუ როგორ დავგეგმოთ შეფასების სხვადასხვა ასპექტი და როგორ წარვადგინოთ. მათი ანგარიში. მოძიება შესაძლებელია მისამართზე: http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention_update

7.1 თუ შედეგების შეფასებას ატარებთ: შედეგების შეფასების ნაწილია შედეგების მონაცემების სისტემატური შეგროვება და ანალიზი, რათა შეფასდეს, რამდენად ეფექტიანი იყო ჩარევა. ამოცანის ყველა შედეგი უნდა აღიწეროს ანგარიშში, როგორც ეს განსაზღვრულია დაგეგმვის ეტაპზე (ანუ, უკვე დადგენილი შეფასების ინდიკატორების შესაბამისად). იმის მიხედვით, თუ როგორი იყო გამოყენებული ჩარევის მასშტაბები და კვლევის გეგმა, უნდა ჩატარდეს სტატისტიკური ანალიზი, რათა დადგინდეს, რამდენად ეფექტიანი იყო ჩარევა დასახული მიზნების მიღწევის მხრივ. როცა ეს შესაძლებელია, შედეგების შეფასების დასკვნები უნდა შეჯამდეს ჩარევის ეფექტიანობის თაობაზე გაკეთებული მიზეზობრივი განაცხადით (Causal statement).

7.2 თუ პროცესის შეფასებას ატარებთ: პროცესის შეფასება დოკუმენტურად ასახავს, რა ხდებოდა ჩარევის განხორციელების განმავლობაში. ამას გარდა, ის აანალიზებს ჩარევის ეფექტიანობასა და სასარგებლოობას – მისი წვდომისა და მოცვის მასშტაბის, მონაწილეთა მიერ მისი მიღების, განხორციელების სიზუსტის და რესურსების გამოყენების გათვალისწინებით. პროცესის შეფასების დასკვნები გვეხმარება, ავხსნათ შედეგების შეფასების დასკვნები და ცხადი გავხადოთ, როგორ შეიძლება სამომავლოდ პროგრამის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასებისა და პროცესის შეფასების დასკვნები ერთად უნდა იქნეს განხილული, იმისათვის, რომ ბოლომდე გვესმოდეს, რამდენად წარმატებული იყო ჩარევა. ეს ცოდნა განსაზღვრავს პროექტის ბოლო ეტაპის (ნაბიჯი 8: გავრცელება და გაუმჯობესება) ფორმირებას.

7. საბოლოო შეფასებები

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
7.1 თუ შედეგების შეფასებას ატარებთ: მოცემულია შერჩევის ზომა, რომელსაც შედეგების შეფასება ემყარება, და ის გამოდგება მონაცემთა ანალიზისთვის. ჩატარებულია სათანადო მონაცემთა ანალიზი, ყველა მონაწილის ჩართვით. ყველა შედეგი ანგარიშშია წარმოდგენილი გაზომვადი სახით. გათვალისწინებულია მიკერძოების შესაძლო წყაროები და შედეგების მიღების ალტერნატიული ახსნა. შეფასებულია, რამდენად წარმატებულია პროგრამა.	☐	☐	☐	☐		

7.2 თუ პროცესის შეფასებას ატარებთ: პროგრამის განხორციელება დოკუმენტურად გაფორმებული და განმარტებულია. შეფასებულია შემდეგი ასპექტები: სამიზნე პოპულაციის ჩართულობა; აქტივობები; პროგრამის მიწოდება; ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენება.	☐	☐	☐	☐	

გთხოვთ, თვითრეფლექსიის ჩატარებისას გაეცნოთ საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების სრულ სიას EMCDDA-ს სახელმძღვანელოში. იხ.:

პროექტის ეტაპი **8.** გავრცელება და გაუმჯობესება

პროექტის ფინალურ ეტაპზე უმთავრესი საზრუნავია პროგრამის მომავალი: უნდა გაგრძელდეს თუ არა ის და, თუ კი, როგორ? პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მის გაგრძელებას, ასევე, ეს სხვებს აძლევს შესაძლებლობას, ისწავლონ განხორციელებული პროგრამის გამოცდილების მაგალითზე.

8.1 განსაზღვრა, უნდა შენარჩუნდეს თუ არა პროგრამა: იდეალურ შემთხვევაში, ხარისხიან პრევენციულ პროგრამა შეუძლია გაგრძელდეს მისი პირველი ჩატარებისა და/ან გარე დაფინანსების შეწყვეტის შემდეგაც. მონიტორინგითა და საბოლოო შეფასებით მიღებული ემპირიული მტკიცებულებების გამოყენებით (იმის მიხედვით, თუ რომელი მონაცემებია ხელმისაწვდომი), შესაძლებელია გადაწყვეტა, ღირს თუ არა ამ პროგრამის გაგრძელება. თუ გადაწყდება, რომ პროგრამა უნდა გაგრძელდეს, მაშინ უნდა განისაზღვროს და განხორციელდეს სათანადო ნაბიჯები და მომდევნო ქმედებები.

8.2 პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება: გავრცელებამ პროგრამას შესაძლოა მრავალი სარგებელი მოუტანოს: მაგალითად, მოუპოვოს გაგრძელებისთვის საჭირო დახმარება სათანადო დაინტერესებული მხარეებისგან ან ჩარევა გააუმჯობესოს უკუკავშირის წყალობით. ასევე, ეს ავსებს ნივთიერებების მოხმარების პრევენციის მტკიცებულებათა ბაზას და ამით ეხმარება ნივთიერებების მოხმარების სამომავლო პოლიტიკას, პრაქტიკასა და კვლევას. იმისათვის, რომ სხვა მიმწოდებლებს ჩარევის გამეორების შესაძლებლობა მიეცეთ, ჩარევის მასალები და სხვა საჭირო ინფორმაცია (მაგ. ფასებთან დაკავშირებული ინფორმაცია) ასევე, რაც შეიძლება, დეტალურად უნდა იყოს ხელმისაწვდომი (საავტორო უფლებებისა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით).

8.3 თუ ადგენთ საბოლოო ანგარიშს: საბოლოო ანგარიში არის გასავრცელებელი პროდუქტის მაგალითი. ის შესაძლებელია, შეიქმნას, როგორც განხორციელების პროცესის ჩანაწერი, როგორც დაფინანსების შეთანხმების ნაწილი ან, უბრალოდ, როგორც ჩარევის შესახებ სხვებისთვის შეტყობინების საშუალება. საბოლოო ანგარიში ხშირად აჯამებს პროექტის წინა ეტაპებზე შექმნილ დოკუმენტაციას. ის აღწერს ჩარევის მასშტაბებსა და აქტივობებს და, სადაც ეს შესაძლებელია, საბოლოო შეფასების დასკვნებს. რადგან საბოლოო ანგარიშის შედგენა ყოველთვის აუცილებელი არ არის და შესაძლოა, უფრო ქმედითი იყოს გავრცელების სხვა ფორმები (მაგ. ზეპირი წარდგენა), ეს კომპონენტი აქტუალურია მხოლოდ მაშინ, თუ საბოლოო ანგარიში იქმნება.

ეს ეტაპი შესაძლოა წარმოადგენდეს ახალი პროექტის ციკლის დასაწყისს, რომელიც არსებული პროექტის გაუმჯობესებასა და დახვეწას ისახავს მიზნად.

8. გავრცელება და გაუმჯობესება

საბაზისო სტანდარტები (შეჯამება):	არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს	არ მეხება	შენიშვნები მიმდინარე მდგომარეობაზე	რა უნდა გაკეთდეს
8.1 განსაზღვრა, უნდა შენარჩუნდეს თუ არა პროგრამა: მონიტორინგით და/ან საბოლოო შეფასებით მიღებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განსაზღვრულია, უნდა გაგრძელდეს თუ არა პროგრამა. თუ მისი გაგრძელება მიზანშეწონილია, გამოკვეთილია გაგრძელების შესაძლებლობები. განხორციელებისას მიღებული გაკვეთილები გამოიყენება სამომავლო აქტივობების შესადგენად.	☐	☐	☐	☐		
8.2 პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება: პროგრამის შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია შესაბამის სამიზნე აუდიტორიებში სათანადო ფორმატით. გამეორების ხელშესაწყობად მასში ჩართულია განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილებისა და უნებლიე შედეგების დეტალების აღწერა. გათვალისწინებულია პროგრამის ანგარიშის წარმოდგენის სამართლებრივი მხარეები (მაგ. საავტორო უფლებები).	☐	☐	☐	☐		

8.3 თუ ადგენთ საბოლოო ანგარიშს: საბოლოო ანგარიში დოკუმენტურად წარმოადგენს პროგრამის დაგეგმვას, განხორციელებასა და (სადაც შესაძლებელია) შეფასებას – მკაფიო, ლოგიკური და იოლად წაკითხვადი ფორმით.	☐ ☐ ☐	☐		

გთხოვთ, თვითრეფლექსიის ჩატარებისას გაეცნოთ საბაზისო და ექსპერტული სტანდარტების სრულ სიას EMCDDA-ს სახელმძღვანელოში. იხ.:

თვითრეფლექსია: მოქმედების გეგმა

დასკვნითი გვერდი გვაძლევს შესაძლებლობას, შევაჯამოთ თვითრეფლექსიით მიღებული ძირითადი დასკვნები და განვსაზღვროთ მიმდინარე საქმიანობის გამაუმჯობესებელი ქმედებები. სამომავლოდ გამოსაყენებლად, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, როდის ჩატარდა რეფლექსია და ვინ მონაწილეობდა მასში (ეს შეიძლება იყოს ერთი ადამიანი ან, მაგალითად, პროგრამის გუნდი). ასევე, მითითებული უნდა იყოს მომდევნო განხილვის თარიღი, რომელიც ჩაინიშნება სამუშაო კალენდარში. იმის მიუხედავად, რომ სტანდარტები უნდა განსაზღვრავდეს ყოველდღიურ პრაქტიკას, სტანდარტებზე რეფლექსია და მათი მიღწევის დოკუმენტირება, ჩვეულებრივ, არახშირი და გამორჩეული მოვლენა იქნება. თუმცა, რეკომენდებულია, საკონტროლო სიას სათანადო პერიოდულობით მიუბრუნდეთ, რათა თვალი ადევნოთ პროცესს და, სადაც საჭიროა, განამტკიცოთ გაუმჯობესების მოტივი.

თვითრეფლექსიის შედეგად გაკეთებული ძირითადი დასკვნებისა და აქედან გამომდინარე ქმედებების შეჯამება

ჩატარების თარიღი:	
ჩამტარებელი:	
მომდევნო ჩატარების თარიღი:	

დამატებით საკითხავი

EMCDDA European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (1998), Guidelines for the evaluation of drug prevention: a manual for programme-planners and evaluators, Luxembourg,Publications Office of the European Union. http://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention

EMCDDA European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2010), Prevention and Evaluation Resources Kit (PERK). A manual for prevention professionals. Luxembourg, Publications Office of the European Union.
http://www.emcdda.europa.eu/publications/perk

EMCDDA European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2011), European drugprevention quality standards: a manual for prevention professionals, EMCDDA Manuals 7.Luxembourg, Publications Office of the European Union. www.emcdda.europa.eu/publications/manuals/prevention-standards

EMCDDA European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction Best practice portal
http://www.emcdda.europa.eu/best-practice

UNODC, United Nations Office on Drugs and Crime (2013), International Standards on Drug Use Prevention, Vienna, United Nations.
http://www.unodc.org/unodc/en/prevention/prevention-standards.html

გამოცემის შესახებ

პირველადი ინგლისური გამოცემა: European drug prevention quality standards: a quick guide, by the European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction
© European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction, 2013

ქართული პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი, და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ქართული თარგმანი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტომაშ ზაბრანსკის სახელობის ადიქტოლოგიის ინსტიტუტის დაკვეთით, EMCDDA4GE პროექტის ფარგლებში (პროექტის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი: №40 - 01.02.2022).
მთარგმნელი: ნინო ბარძიმიშვილი.

ქართული ადაპტირებული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორები:

მარიამ რაზმაძე, ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრი, ტომაშ ზაბრანსკის სახელობის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მზია ტაბატაძე, ექიმი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯია

დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ტომაშ ზაბრანსკის სახელობის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-8-5004-2 (PDF)

თბილისი, 2022